kapakჩემს სარწმუნოებას ვსწავლობ

დიანეთის საქმეთა სამმართველოს გამომცემლობა 1*

წინასიტყვაობა

საყვარელო ბავშვებო!

ჩვენი გულები სიყვარულით ფეთქავს თქვენდამი,– სინორჩისა და სიბრძნის ათვისების საუკეთესო ხანაში მყოფი ბავშვებისადმი.

თქვენით გვინდა, რომ ახალ სიკეთეებს მივაღწიოთ. ისლამი ალამაზებს და აკეთილშობილებს ჩვენს ბუნებას. ალლაჰის სიყვარულისა და კეთილი ზნეობის შეძენა სწავლითაა შესაძლებელი. მხლოდ მაშინ ვიქნებით ღმერთის ღირსეული ადამიანები.

წინამდებარე წიგნი ბავშვებისთვისაა მომზადებული, მისი მიზანია ყრმამ შეისწავლოს და შეიცნოს ადამიანის ბუნებაში არსებული მშვენიერებანი. მართალია, წიგნის მოცულობა მცირეა, მაგრამ გვჯერა, რომ თქვენი ცოდნის, გრძნობებისა და აზროვნების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს, რადგან ამ წიგნში თქვენ იპოვით სასარგებლო ცნობებს, რომელთა შესწავლასაც რწმენა მოითხოვს და რომლითაც ღმერთის სახელით მონიჭებულ შვებას და ღმერთთან მიახლოების ძალას იგრძნობთ. სიტყვისა და ქცევის ერთიანობის ყველაზე კარგი მოდელის, ოჯახისა და საზოგადოებრივი ცხოვრების საყრდენის, – ზნეობის პრინციპებს გაეცნობით და თქვენი ცნობისმოყვარეობისთვის დამახასიათებელი სხვა კითხვების პასუხებს ნახავთ. გვჯერა, რომ წაკითხვისას ჩაუფიქრდებით და შეიმეცნებთ, თუ რის გაკეთებას მოითხოვს ჩვენგან ღმერთი და ისე მოიქცევით, როგორც ღმერთს მოეწონება, მის მიერ აკრძალულის გაკეთებას მოერიდებით.

ჩვენი თხოვნაა, სიკეთეების კეთება გაგიხარდეთ, სიგლახეების გამო შეწუხდეთ, ჩვენი გულები ისეთი ფაქიზი უნდა იყოს, რომ ჭიანჭველასაც კი ფეხი არ დავაბიჯოთ. უპირატესობა სიკეთეს უნდა მივანიჭოთ... ესაა ჩვენი პასუხისმგებლობა და თქვენც ღმერთის წინაშე ამ პასუხისმგებლობის ამღებნი უნდა იყოთ. თქვენი გვჯერა და დიდ იმედებსაც ვამყარებთ თქვენზე.

დიანეთის საქმეთა სამმართველო 2*

დიანეთის საქმეთა სამმართველოს
გამომცემლობა:625
საბავშვო წიგნები:159
ტექსტების შემდგენლები:
არფასლან დურმუში
ჰატიჯე იშილაკი
ილიას ასლანი
ნერიმან გოქჩეგოზ კარათექინი
გრაფიკის მონტაჟი:
ედამ და მუჰამმედ ნურ ანბარლი
გრაფიკის შემსრულებლები:
აჰმედ ქარათაში
ემინე ქალელი
ისმაილ ჰაყყი გურბეთჩი
პედაგოგიური კონსულტანტი:
ედამი
კორექტორები:
მუჯაჰიდ ჩევიკი
ფინარ ქოჩ ილდირიმი
ილუსტრაცია
თურგუთ ილმაზისა
გამომცემელი:
თურქეთის დიანეთის ფონდის საგამომცემლო სტამბა
სავაჭრო საქმეთა სამმართველო, ანკარა
ტელ: (0312) 354 91 31
ანკარა, ივლისი 2004
ISBN 975–19–3595–4
© დიანეთის საქმეთა სამმართველო:
სასულიერო საგამომცემლო სამმართველოს ხელმძღვანელობა
კონტროლისა და საგამომცემლო განყოფილების სამმართველო
ტელ: (0312) 295 73 06
თარგმანი შეასრულა
შ.პ.ს. „თარჯიმანმა“
დამხმარე:
მ. იუნუს ყაია
თარგმანის სპონსორი:
„ისლამის კულტურისა და
ყურანის მეცნიერული კვლევის ასოციაცია“
3*

წიგნი დაიბეჭდა სასულიერო საქმეთა უმაღლესი საბჭოს 15. 07.2004 წლის № 128
გადაწყვეტილების საფუძველზე. 4*

რწმენა 5*

კარი პირველი

ჩვენი დიდი გამჩენი ღმერთი: ალლაჰი!

კარი მეორე

1. ღმერთის მბრძანებლობაში მყოფი სულიერი მოსამსახურეები: ანგელოზები.
2. ღვთიური ცოდნის წყაროები: წმინდა წიგნები.
3. ღმერთის გამოგზავნილი რჩეული წინამძღვრები: შუამავლები.
4. ამ ქვეყნის (სააქაოს) მიღმა: საიქიოს ცხოვრება.
5. ღვთისმიერი უცვლელი ზომები: ბედისწერა და განგება. **6***

*„ჰეი, მორწმუნენო! იწამეთ ალლაჰი და მისი შუამავალი და წიგნი, რომელიც გარდმოუვლინა თავის შუამავალს, და წიგნი, რომელიც გარდმოავლინა ადრე. და ვინც უარჰყოფს ალლაჰს და მის ანგელოზებს, და მის წიგნებს, და მის შუამავლებს, და უკანაკნელ დღეს, უკვე ცდუნებულია უკიდურესის ცდუნებით. (სურა ქალები–ნისა. აიათი: 136) 8**

შეისწავლე – გამოიკვლიე – იფიქრე

1. ამ სიტყვების მნიშვნელობები კარგად შეისწავლეთ და დაიმახსოვრეთ, ჩაიწერეთ უბის წიგნაკებში და არ დაივიწყოთ: *იმანი (რწმენა), მუმინი (მორწმუნე), ისლამი, მუსლიმანი, ვაჰი.*

2. ყოველდღიურ სასაუბრო ენაზე დაწერეთ ისეთი ანდაზები ან გამონათქვამები, რომლებშიც ქვემოთ მოცემულ სიტყვათაგან ერთ–ერთი იქნება გამოყენებული: *ალლაჰი, ანგელოზი (მელაიქი), ყურანი, შუამავალი, საიქიო, განკითხვის დღე (ყიამეთი).* ამ სიტყვების გამოყენების მიზეზის შესახებ ამხანაგებთან ერთად იმსჯელეთ.

3.რელიგიის კულტურისა და ბავშვთა ზნეობრივი აღზრდის შესახებ ბევრი წიგნი იკითხეთ. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული დიანეთის საქმეთა სამმართველოს გამომცემლობის წიგნებიდან იმანის (დაჯერების) შესახებ მოცემული თავები .

ა. ***ვიწამე და ბედნიერი ვარ,*** _ ა. მაჰირ ფექქანი.

ბ. ***ღმერთი მწამს,*** რამაზან ათილგანი.

გ. ***ღმერთო, ძალიან მიყვარხარ,*** ზარიფე ჯანანი. **8***

ალლაჰის გაჩენილ ყველა არსებათა შორის ადამიანს განსაკუთრებული ადგილი უკავია. მასზე ამ განსაკუთრებულობის მიმნიჭებელი ყველაზე ძირითადი ფაქტორი აზროვნებისუნარიანობაა. ადამიანი აზროვნების წყალობით ერთმანეთისაგან განასხვავებს კარგსა და ცუდს, ლამაზსა და უშნოს, სწორსა და არასწორს. ადამიანისათვის აუცილებელია სხვადასხვა საჭიროებები, როგორიცაა ჭამა, სმა, ძილი და სხვა. თუ კი ესენი დააკლდება, სხეული მის ფუნქციებს ვეღარ შეასრულებს და ჯანსაღად არსებობას ვეღარ გააგრძელებს. ასევე დაჯერებას, ფიქრს, სიყვარულს, სიხარულს, მწუხარებას და სათნოების მსგავს არაფიზიოლოგიურ საჭიროებებსაც ითხოვს. ადამიანისათვის ყველაზე საჭირო სულიერი სარჩო,– დაჯერება და რწმენაა. მხოლოდ ამ საჭიროებათა უზრუნველყოფის შემდეგ მიაღწევს ადამიანი ნამდვილ ბედნიერებასა და სიმშვიდეს. რწმენა, რაიმეს ეჭვის გარეშე დაჯერება და ნდობაა. ადამიანი, რომელიც იწამებს, მორწმუნე (მუმინი) ჰქვია. ჩვენი სარწმუნოების ისლამის დაჯერების (რწმენის) პრინციპები ექვს თემაში შეიძლება განვიხილოთ: ალლაჰის, ალლაჰის ანგელოზების, ალლაჰის წიგნების, ალლაჰის შუამავლების, განკითხვის დღის, ბედისწერისა და განგების რწმენა. ესენი ტექსტ „ამენთუ“–შია ჩამოთვლილი. **9***

*თუ კი „აამენთუ“ არ იცით, უფროსებისაგან ისწავლეთ. 10**

კარი პირველი 11*

უდიდესი გამჩენი:
ალლაჰი 12*

„...ვინც ალლაჰს იწამებს, ალლაჰი მის გულს სისწორისაკენ მიმართავს, ალლაჰი ყველაფრის ღირსეულად მცოდნეა.“ (სურა თეაბუნი, აიათი 11) 13*

რწმენის საფუძვლების ცენტრს „ალლაჰის რწმენა“ შეადგენს. ალლაჰის რწმენა მის ცნობას საჭიროებს. ალლაჰის თავისებურებების შესწავლა მისი გამოგზავნილი შუამავლებიდან და წმინდა წიგნებიდან შეგვიძლია. ეს ცნობები მისივე ლამაზ სახელებშია განთავსებული, რომლებსაც მთლიანობაში „ესმა–ი ხუსნა“ ეწოდება. 14*

„ალლაჰსა აქვს საუკეთესო სახელები. შეევედრეთ მას (ალლაჰს) მათით. (იმ საუკეთესო სახელებით)“ (სურა არაფი–მაღლობნი აიათი 180) **15***

ალლაჰის თვისებები (ეპითეტები)

ალლაჰი, რომელიც გვწამს და სიყვარულით მოვიხსენიებთ, ყველაზე ლამაზი და ყველაზე მაღალი თვისებების მქონეა:

პირადი ეპითეტები	სუბუთი* ეპითეტები
ვუჯუდი	**ჰაიათი**
არსებობს	*უეჭველად ცოცხალია*
ყიდემ	**ილიმი**
დასაბამი არა აქვს	*ყველაფერი იცის*
ბეყა	**სემი–ი**
უსასრულოა	ყველაფერი ესმის
ვაჰდანიეთი	**ბასარი**
ერთია	*ყველაფერს ხედავს*
მუჰაალეფეთუნ ლილ	**ქელამი**
ჰავადის	*მართალ და ლამაზ სიტყვას იტყვის*
გაჩენილებს არ ჰგავს	**ირადე**
ყიამ ბი ნეფსიჰი	*თავისი ნება– სურვილის განხორციელების*
რაიმეზე და ვინმეზე	*ძალა შესწევს*
დამოკიდებული არაა	**ყუდრეთი**
	ყველაფრის გაკეთების ძალა შესწევს
	თეყვინი
	*გააჩენს, რასაც მოისურვებს 16**

ალლაჰი ყველაზე უზენაესი და მარადიული არსებაა. მის არსებობას დასაწყისი არა აქვს და მარადიულად იარსებებს. ერთია და უმაგალითოა. არცერთი არსება მას არ ჰგავს. ის რაიმეზე დამოკიდებული არაა. ყველას და ყველაფერს ის ესაჭიროება. სამყაროში რაც არსებობს, ყველას ნამდვილი პატრონი ისაა.

ის უკვდავია, მის გარდა ყველაფერი დროებითია. მან ყველა და ყველაფერი იცის. მას ვერაფერი დაემალება. ჩვენში არსებული ფიქრები მთლიანად იცის. სადაც უნდა ვიყოთ, ჩვენი ყველა სიტყვა ესმის და ყველაფერს ხედავს. ყველას თხოვნა–ვედრება ესმის და მათ მოთხოვნებზე რეაგირებას ახდენს. ბრძანებებსა და სურვილებს ადამიანებს შუამავლების მეშვეობით აცნობებს. რაც სურს, დამოუკიდებლად გააკეთებს. მის სურვილებს წინ ვერავინ აღუდგება. ყველა სურვილს როგორც მას უნდა, ისე აისრულებს. როცა რაიმეზე იტყვის: „გაჩნდი“, მაშინვე გაჩნდება. მთელი სამყარო მან გააჩინა. ყველა მის მიერ გაჩენილი რაიმე მიზანით არსებობს და ყველაფერი ერთმანეთთანაა შერწყმული. *17**

*იფიქრეთ თქვენს გარშემო მყოფი არსებების გაჩენის მიზნის შესახებ. მათ შორის თუ არის ისეთი, რომელიც, თქვენი აზრით, ტყუილადაა გაჩენილი? ამ საკითხზე ამხანაგებთან იმსჯელეთ. შეეცადეთ აღმოაჩინოთ ყველა არსების გაჩენის მიზეზი. 18**

სუბუთი: * საზოგადო ეპითეტი, ესე იგი ამ სახელის ქვეშ გაერთიანებული თვისებები არის საზოგადო ხასიათისა.

ალლაჰის სახელით...

იმისათვის, რომ ვიწამოთ ალლაჰი, აუცილებლად უნდა გვიყვარდეს ის. სიყვარული კი მარტო სიტყვით არ გამოიხატება, საქმითა და ქცევით დადასტურებაა საჭირო. ამიტომაა, რომ, ვისაც ალლაჰი სწამს, მის ბრძანებებსა და მოთხოვნებსაც უნდა ასრულებდეს. ადამიანი, რომელმაც იცის, რომ მას ალლაჰი ყოველთვის ხედავს, მისი ყველა მოქმედებით ალლაჰის კმაყოფილების მოსაპოვებლად უნდა ზრუნავდეს. ეს კი ყოველთვის ალლაჰის გახსენებითაა შესაძლებელი. ადამიანისაგან ალლაჰის გახსენების ერთ–ერთი ნიშანი ყველა საქმის დაწყების წინ „ბისმილლაჰ“–ის თქმაა. ბისმილლაჰ–ის თქმა „ბისმილლააჰირრაჰმანირრაჰიიმ“ წინადადების თქმას ნიშნავს. ამ წინადადების მნიშვნელობაა: „მოწყალე და შემწყალებელი ალლაჰის სახელით“. ამ გამოხატულების მოკლედ გამოთქმა
„ბისმილლაჰ“ სიტყვითაც შეიძლება. მნიშვნელობა კი ერთია: „ალლაჰის სახელით“. ჩვენ ბისმილლაჰ–ის თქმით სამ რამეს ვაკეთებთ:

- ალლაჰისადმი ჩვენს რწმენას სიტყვით ვადასტურებთ.
- დასაწყებ საქმისათვის ალლაჰისგან დახმარებას ვითხოვთ.
- ალლაჰის მუდამ ჩვენთან ყოფნას ვადასტურებთ. 19*

*ალლაჰის განსაკუთრებულ სახელთაგან შვიდი მათგანი დაიზეპირეთ და კვირის ყოველ დღეს ამ სიტყვათაგან ერთ–ერთის გამოყენებით მას შეევედრეთ. მაგალითად „შენ ჰაფიზი (დამცავი) ხარ, ყოველგვარი ცუდისა და სიგლახეებისგან დამიცავი დიდო ალლაჰო!“ 20**

ბისმილლააჰირრაჰმაანირრაჰიიმ *21**

ქვემოთ მოცემულია ყოველდღიურ მეტყველებაში ხშირად გამოყენებული აფორიზმები და გამონათქვამები. გარშემომყოფთა დახმარებით ეს სია გააფართოეთ. ამ გამონათქვამებსა და აფორიზმებში რატომაა ხშირად სიტყვა „ალლაჰი“ გამოყენებული ? ამის შესახებ ამხანაგებთან იმსჯელეთ.

●ალლაჰმა დედიან– მამიანი გაგზარდოს!
●ალლაჰმა საყვარელს შეგყაროთ!
●თუ კი ალლაჰი ერთ კარს დაგიკეტავს, მეორეს გაგიღებს!
●ალლაჰი ამაგს არ დაგიკარგავთ!
●ალლაჰმა სიკეთე მოგცეთ!
● გფარავდეთ ალლაჰი!
●ალლაჰმა სიმშვიდე მოგცეთ!
●ალლაჰმა აცხონოს!
●როცა ალლაჰი მოყვარე გეყოლება, ხმალი ხისაც რომ იყოს, გაჭრის!
● ალლაჰს ადამიანისათვის ერთი პირი და ორი ყური მიუცია, რათა ერთი თქვას და ორი გაიგონოსო!
●ალლაჰმა მოთმინების უნარი მოგცეთ!
● ალლაჰმა ბარაქა მოგცეთ!
● ჩიტი, რომელიც ვერ ფრინავს, ალლაჰი მას დაბალ ტოტს მიუჩენს!
● ალლაჰმა თუ მოგცა, უცხო მოიტანს, ნიაღვარი მოიტანს, ქარი მოიტანს!
● ალლაჰის ნათქვამი ასრულდება!
●გეშინოდეს ალლაჰის!
●ალლაჰი ერთი, სიტყვა ერთი!
●ალლაჰი ერთი, შუამავალი სამართლიანი, ბადაგი შავი, მაწონი თეთრი.
●თუ კი ალლაჰი დაეხმარება თავის მონა–მსახურს, ყველაფერი რიგზე იქნება!

*22**

ადამიანს, რომელსაც ალლაჰი სწამს...

...ალლაჰი უყვარს, ისიც იცის, რომ ღმერთს თვითონაც უყვარს.

...რადგან იცის, რომ ალლაჰი ყველაფერს ხედავს და ყველაფერი ესმის, მარტოობისას და სხვებთან ერთადაც პატიოსნად და ღირსეულად იქცევა, ერთგულია.

...იცის, რომ ალლაჰი სამართლიანია და სამართლიანები უყვარს, ამიტომ ვინმეს უსამართლოდ არ მოექცევა და არც უსამართლობის წინაშე მოიხრის ქედს.

...იცის, რომ ალლაჰს ყველა ვედრება ესმის, ამიტომ ყოველთვის ალლაჰს მიენდობა და შეეკედლება. ამრიგად ყველანაირი სიძნელის დასაძლევად ძალა მოემატება.

... იცის გაჩენის მიზანი: საიდან მოდის და საითკენ მიედინება, ამიტომ თავს იმედიანად გრძნობს. 23*

კარი მეორე

1.ალლაჰის მბრძანებლობაში მყოფი სულიერი მოსამსახურეები: ანგელოზები

24*

„და, ალლაჰს სეჯდეს უძღვნის (თაყვანს სცემს მიწამდე თავდახრით) რაცა არიან ცათასა შინა და დედამიწასში ზედა სულიერ(არსება)თაგან და მელაიქებიცა (ანგელოზნიცა), და ისინი როდი ქედმედიდურობენ!.. "(სურა ნაჰლი–ფუტკარი. აიათი 49)

25*

ალლაჰის მიერ სინათლისაგან გაჩენილ და თვალით უხილავ არსებებს ანგელოზები (მელექი–მელაიქე) ჰქვია. ანგელოზებს სქესი არ გააჩნიათ. ისინი არ ჭამენ და არ სვამენ. ალლაჰის ბრძანებებს უყოყმანოდ ასრულებენ. დღისითა და ღამით განუწყვეტლივ ალლაჰს ახსენებენ. მორწმუნეთათვის ღმერთს ევედრებიან. ყველა მათგანს სხვადასხვა მოვალეობა აკისრია, ხოლო მათი ზუსტი რიცხვი მხოლოდ ალლაჰმა იცის. ჩვენთვის ცნობილია ოთხი ანგელოზი; *ჯებრაილი, მიქაილი, ისრაფილი* და *აზრაილი.* 26*

ადამიანს, რომელსაც სწამს ანგელოზები, მან...

...იცის, რომ არასდროს მარტო არაა, ალლაჰი მას დამცავი *(ჰაფაზა)* ანგელოზების მეშვეობით ყოველთვის და ყველგან იცავს.

... იცის, რომ მწერალი ანგელოზები (*ქირამენ ქაათიბინ)* კარგსა და ცუდს, მის ყველა ნამოქმედარს სწერენ, ამიტომ უფრო ყურადღებით იქცევა.

...იცის, რომ ანგელოზები მისთვის ღმერთს ევედრებიან; ამიტომ თვითონაც მისთვის და ყველა მუსლიმანისათვის ღმერთს ევედრება.

2. ღვთიური ცოდნის წყაროები: წმინდა წიგნები 27*

„...ალლაჰმა მოავლინა შუამავალი მახარობლად და მაფრთხილებლად და გარდმოავლინა მათთან ერთადვე წიგნი ჭეშმარიტებისა, ადამიანთა შორის უთანხმოებათა გარდასაწყვეტად..." *(სურა ბაყარა– ფური, აიათი 213) 28**

წმინდა წიგნები, ეს ისეთი წიგნებია, რომლებიც შეიცავენ ალლაჰის წერილებს, ბრძანებებსა და აკრძალვებს, მოვლენილია ადამიანებისათვის. ეს წიგნები ამქვეყნად სიკეთის, სიმართლისა და სილამაზის მონახვისა და ცუდისაგან დაფარვის მიზნით ალლაჰის მიერ ადამინებისათვის ბოძებული სწორი გზის მაჩვენებელია. ეს წიგნებია: *თევრათი, ზებური, ინჯილი* და *ყურანი.* წმინდა წიგნები, რაც უნდა განსხვავებულ დროსა და განსხვავებულ ხალხთათვის იყოს გარდმოვლენილი, ყველა ერთ გამოძახილს ისახავს მიზნად: 29*

საღი რწმენა, სწორი ქმედება, კარგი ზნეობა. სხვა წიგნები გარკვეული საზოგადოებისათვის, ხოლო ბოლო წიგნი ყურანი კი სრულიად კაცობრიობისთვისაა გარდმოვლენილი. ალლაჰის ბოლო წერილი ყურანი, დედამიწის დასასრულამდე მოქმედებაში იქნება და ის ჩვენს საყვარელ მუჰამმედ შუამავალს გამოეგზავნა. სხვა წიგნთა ორიგინალები აღარ არსებობს. ყურანში კი არცერთი ასობგერა არაა შეცვლილი (ისეა შემონახული) და ქვეყნის დასასრულამდე შეუცვლელად გააგრძელებს არსებობას. დედამიწაზე წიგნთაგან ყველაზე ხშირად ყურანი იკითხება. მისი კითხვაც ღვთისმსახურებაა. 30*

*გამოიკვლიეთ ალლაჰის მიერ გარდმოვლენილ წიგნთაგან ყურანზე ადრე არსებული წიგნები რომელ შუამავალს გამოეგზავნა!? 31**

ადამიანმა, რომელმაც იწამა წიგნები...

... იცის, რომ ალლაჰი ადამიანებს ამქვეყნიურ ცხოვრებაში უგამყოლოდ არ დატოვებს და მათ გზას უჩვენებს.

...ცდილობს, რომ ალლაჰის წერილი გაიგოს და შეასრულოს.

... ალლაჰის წიგნებს კითხულობს და იცის, რომ ის, რასაც კითხულობს, გულებს სულიერ სიმშვიდეს აძლევს და კურნავს.

...იცის რომ, როცა ყურანს აიღებს ხელში, მის მსგავსად მილიონობით ადამიანი იგივე წიგნს კითხულობს და ამრიგად ერთობისა და ერთიანობის გრძნობები ძლიერდება. 32*

3. ალლაჰის მიერ მოვლენილი რჩეული წინამძღვრები, შუამავლები. 33*

„და არ მოგვივლენია შუამავალნი (სხვა რამ მიზნით), თუ არ მახარობლობისა და გამაფრთხილებლობისა. და ვინც ირწმუნა და კეთილი ჰქმნა, არ ექმნეთ მათ შიში და არცა დამწუხრდნენ.“ (სურა საქონელი–ენამი, აიათი 48) 34*

ალლაჰმა, სხვადასხვა დროს სწორი გზის მაჩვენებლად გამოგზავნილი წიგნები ადამიანებისათვის იოლად გასაგები და შესასრულებელი რომ ყოფილიყო, წინამძღვრები მოავლინა. ამ წინამძღვრებს შუამავალები ჰქვია. შუამავლებმა, ალლაჰის წერილის ახსნის, სწავლების და შესრულების მოვალეობა უნაკლოდ შეასრულეს. ისინი ცხოვრების ყველა სფეროში სამაგალითონი არიან. 35*

*ისწავლეთ ყურანში ნახსენები შუამავლების სახელები. გამოიკვლიეთ, დღეს ამ სახელთაგან რომლები გამოიყენება. 36**

შუამავლებმა მორწმუნე, კეთილი და კეთილისმყოფელი ადამიანებისათვის გადმოსაცემი ლამაზი ჯილდო გვახარეს. მათ ალლაჰის ბრძანებების შეუსრულებლობით მოსალოდნელი ცუდი სიმპტომების შესახებ განსაკუთრებით გაგვაფრთხილეს. შუამავლებს რეპუტაციის გამო უპირატესობა ჰქონდათ მინიჭებული. ალლაჰმა ადამიანებს ძალიან ბევრი შუამავალი მოუვლინა, მაგრამ მათგან ყურანში მხოლოდ ოცდახუთი შუამავლის სახელია ნახსენები.

ალლაჰის ყველაზე ბოლო წერილის –ყურანის ჩვენამდე მომტანი ბოლო წინამძღვარი (შუამავალი) ჩვენი საყვარელი მუჰამმედ შუამავალია. ის ალლაჰის მიერ მოვლენილ შუამავალთაგან ყველაზე ბოლოს მოვლენილი შუამავალია. ყველა ხალხებისათვის (მთლიანი კაცობრიობისათვის) პატრონობისა და მოწყალების მისიითაა მოვლენილი. ის ყურანის წერილის ცხოვრებაში გამტარებელი სამაგალითო ადამიანი იყო.

37*

ადამიანი, რომელსაც სწამს შუამავლები....

... ყველა სფეროში მათ იღებს მსგალითად.

... ცდილობს, რომ სამაგალითო, პატიოსან და მართალ შუამავალთა მსგავსად მისაბაძი იყოს.

... შუამავალთა ქცევებსა და მოქმედებებს სწავლობს, და ცდილობს ისინი თავის ცხოვრებაში გაატაროს (გამოიყენოს).

... იცის, რომ შუამავლები ყველას მიმართ სამართლიანნი არიან, თვითონაც ცდილობს, რომ მათსავით სამართლიანი იყოს.

38*

4. ამ ქვეყნის (დედამიწის) გარდა, საიქიოს ცხოვრება

უეჭველად, ღვთისმოშიშ(არ)ნი კი – ჯენნეთის (სამოთხის) ბაღებსში და წყაროებთან (დამკვიდრდებიან).. (და, მათ ეტყვიან): „შედით იქა, მშვიდობითა, უსაფრთხონი!“

და, აღმოვუხაპავთ ლიზღსა, მათსა გულებთასა შინა არსებულსა, და ძმებადქცეულნი, პირისპირ ტახტსარეცლებზე მსხდომარენი (იგანცხრომებენ).

არ გაეკარებათ იქ(ში) მათ დაღლილობა და არცარასოდეს იქიდან არ იქნებიან ისინი გამოჰგვრილნი. *(სურა–ჰიჯრი, აიათი 45–48).* *39**

სიცოცხლეცა და სიკვდილიც ალლაჰმა დააწესა. ყველაფერი, რაც სულიერია დედამიწაზე, მოდის, ცხოვრობს და კვდება. შემოდგომაზე ხეების ფოთლები იწყებენ გაყვითლებას და ცვენას; გაზაფხულის დადგომასთან ერთად ხეები იწყებენ გამწვანებას, აყვავდებიან და ნაყოფს იძლევიან. ასეა ადამიანებიც. ერთ დღეს ყველა ადამიანი უნდა მოკვდეს, მაგრამ სიკვდილი ყველაფრის დასასრული არაა, ის ახალი, განსხვავებული და მარადიული ცხოვრების დასაწყისია. 40*

ისე, როგორც ყველა არსება, სამყაროც, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, დასრულებადია. სამყაროს დასრულებასა და განადგურებას *ყიამეთის დღე* ჰქვია.

„ყიამეთის მოსვლის დრო ალლაჰის გარდა ვინმემ არ იცის. ის მოულოდნელად მოვა. ყიამეთის შემდგომი პერიოდი საიქიოს ცხოვრებაა.

ალლაჰმა დედამიწის ცხოვრება კარგთა და ცუდთა ურთიერთგანსასხვავებლად (გარჩევის მიზნით) გამოსაცდელად გააჩინა. უაღრესად სამართლიანი ალლაჰი მისი ბრძანებების შემსრულებლებს და არშემსრულებლებს საიქიოში სამართლიანად განსჯის. ამქვეყნიური ცხოვრება საიქიოსათვის მომზადებაა. ამქვეყნად ჩვენს მიერ გაკეთებული საქმეები საიქიოში გზას ან გაგვინათებს, ან დაგვიბნელებს. საიქიოს ცხოვრება ყველა ჩვენგანის ახალად გაცოცხლებისა და სამართლიანად განსჯის დღიდან იწყება. გასამართლების (მაჰშერის) დღეს ყველა ალლაჰის წინაშე წარსდგება. საბოლოოდ ვისაც მცირეოდენი სიკეთე უქნია, გამოჩნდება და ვისაც მცირეოდენი სიგლახე გაუკეთებია, ისიც გამოჩნდება.

41*

შეადგინეთ გამონათქვამები, რომელშიც განკითხვის (მაჰშერის) დღე იქნება ნახსენები. იმსჯელეთ ამხანაგებთან მათ შესახებ, თუ რა ფორმითაა გამოყენებული.

42*

ის, ვინაც ამქვეყნად ალლაჰის ბრძანებების შესაბამისად არ იცხოვრა, თუ არ მოინანია და არ ეპატია, დასასჯელ ადგილას, ჯოჯოხეთში წავა. ისინი კი, ვინც ალლაჰის ბრძანებების შესაბამისად იცხოვრეს ნაირ–ნაირი ჯილდოებით, ყოველგვარი ხილითა და სარჩოთი აღსავსე სამოთხეში იცხოვრებენ. იქ არც მწველი სიცხე და არც გამყინავი სიცივეა. ის, რაც თვალებს ნახული აქვს და რაც სულს მოესურვება, ყველაფრით სამოთხეში გაუმასპინძლდებიან. 43*

ადამიანი, რომელსაც საიქიო სწამს, მან...

... იცის, რომ ყველა მისი ნამოქმედარი კარგი თუ ცუდი, აუნაზღაურებელი (უპასუხო) არ დარჩება.

... სამოთხეში მისთვის გამზადებული ალლაჰისეული ჯილდოების მისაღებად მისი ბრძანებების შესრულებას ცდილობს

... იცის, რომ ამქვეყნიური ცხოვრება ისეა, როგორც ყანა, საიქიო კი მოსავლის აღების დრო. ამიტომ ამქვეყნიური ცხოვრების ყველაზე კარგად გამოყენებას ცდილობს.

...იცის, რომ სუსტის მიერ ძლიერისაგან ასაღების აღების დრო უეჭველად იქნება; ამიტომ ვინმეს უსამართლოდ არ ექცევა. 44*

სამოთხეში ალლაჰმა რა სახის სარჩოები გინდათ რომ მოგართვას?

45*

5. ღვთისმიერი უცვლელი ზომები: ბედისწერა და განგება 46*

და, არა არს არცრა, რისი საგანძურნიც ჩვენ არ გაგვაჩნდეს, და (მაინც) არ გარდმოვავლენთ მას, განსაზღვრული ოდენობის მეტ(ა)ს. (სურა ჰიჯრი, აიათი 21) 47*

ალლაჰმა, უსაზღვროდ და უეჭველად სამყაროს გაჩენამდე იცოდა, თუ სამყაროში რა, როდის და რანაირად მოხდებოდა. იმიტომ, რომ სამყაროს გამჩენი და მასში არსებული ყველაფრის მტკიცედ განმსაზღვრელი ალლაჰია. ალლაჰმა ადამიანი გააჩინა და მოქმედებისა და ქცევის თავისუფლება მისცა. ვისაც უნდა სწორს აირჩევს, ვისაც უნდა არასწორს.

ალლაჰმა იცის თუ ადამიანი როგორ მოიქცევა და რა შედეგს მიიღებს. ალლაჰის მიერ ყველფერზე ზომისა და რიგის წინასწარ განსაზღვრას, ყველაფრის ცოდნასა და წარმართვას ბედისწერა ჰქვია, ხოლო ამ ცოდნის განხორციელებას და შემთხვევის მოხდენას განგება. 48*

ადამიანს, რომელსაც სწამს ბედისწერა...

...სჯერა, რომ ალლაჰმა ყველაფერი იცის და მის გარეშე ერთი ფოთოლიც კი არ გაინძრევა.

...ყურადღება უნდა მიაქციოს ალლაჰის მიერ სამყაროში ჩამოყალიბებულ წონასწორობის დაცვას და იგი არ დაარღვიოს.

...იცის, რომ ალლაჰმა ყველაფერი ერთიან სისტემაში გააჩინა და როგორც ამ სისტემის ერთი ნაწილი, შემხვედრი სიძნელეების წინაშე ბრძოლისას ალლაჰს ენდობა.

49*

ვინც რწმენის გემს გაყვება, გადარჩება

50*

კროსვორდი

1.მუსლიმანების დღესასწაული, რომელიც წელწადში ორჯერ ტარდება.
2.მუეზინის მიერ მრევლის სალოცავად მოხმობა.
3.რიტუალი მექაში. მუსლიმანთა დღესასწაული, მუსლიმანთა მიერ ზილჰიჯის თვეში მექაში მოსანახულებლად წასვლა.
4. ღარიბებზე გასაცემი. მოწყალება.
5.რამაზნის თვის 27–ე ღამე, როდესაც ყურანმა იწყო ჩამოსვლა.
6. მეჩეთში მრევლთან ერთად ნამაზის შესრულება.
7. მოწყალება, რომელსაც რამაზნის თვეში გაიღებენ.
8. ისლამის ერთ–ერთი ძირითადი პირობა. „ხუთი სახის საჭმელი, / ერთმანეთს არ ეკარება./ ორი დღეს მოესწრო,/ სამი ღამეს ეფარება.“
9. ლოცვა, რომელიც რამაზნის თვეში ტარდება ძილისწინა ლოცვის შემდეგ.
10. ჩვენი სარწმუნოება. მუსლიმანთა სარწმუნოების სახელწოდება.
11. მუსლიმანთა სალოცავი ადგილი. ღმერთის სახლი.
12.ჭამის დრო მარხვის პერიოდში, მარხვის დაწყებამდე ცოტა ადრე.
13.სალოცავად მოწოდება მუსლიმანებზე მინარეთიდან.
14 .იმამის მიერ მეჩეთში წარმოთქმული მოწოდება პარასკევობით (ჯუმის ლოცვა) და დღესასწაულებზე.
15. იასიდან დილამდე შესასრულებელი არასავალდებულო ლოცვა.
16.წმინდა მთა საუდის არაბეთში.
17.სამი მუხლი ლოცვა, ძილისწინა ლოცვის შემდეგ.
18. არასავალდებულო ლოცვა, რომელსაც მორწმუნე მუსლიმანი ასრულებს.

51*

ჩემო ალლაჰო!

რაჰმანი ხარ; განურჩევლად ყველასი მოწყალე ხარ, ჩვენ შეგვიწყალე.
რაჰიმი ხარ; შენ მოყვასთა სიყვარულით შემმკობელი ხარ, შენს საყვარელთა რიგებში მიგვიღე.
ყუდდუსი ხარ; ყოველგვარ ნაკლულობათაგან შორს ხარ, ჭუჭყისაგან გაგვწმინდე.
სელამი ხარ; ყოველგვარი საფრთხისაგან დამცავი ხარ. შიშისაგან გადაგვარჩინე.
მუმინი ხარ; გულებზე ნდობის მომფენი ხარ, ჩვენი შენდამი ნდობა განამტკიცე.
აზიზი ხარ; უსასრულო და უმაღლესი ღირსების პატრონი ხარ, ჩვენ უღირსს ნუ გაგხვდი.
მუთექებბირი ხარ; ყველაფერზე დიდი ხარ, მედიდურობისაგან დაგვიცავი.
ბაარი ხარ; ყველაფერს ერმანეთის შესაფერს გააჩენ, ჩვენ ამ თანხმობას ნუ ჩამოგვაშორებ.
მუსავვირი ხარ; ყველა არსებას ლამაზ ფორმას აძლევ, ჩვენ ამ სილამაზის შენარჩუნების ძალა მოგვეც.
ღაფფარი ხარ; ძალიან ძალიან მპატიებელი ხარ, ჩვენ შენი პატიების გარეშე ნუ დაგვტოვებ.
ვეჰჰაბი ხარ; საჩუქრების უხვად მომცემი ხარ, ჩვენ შენი საჩუქრებით გაგვახარე.
რეზზეყი ხარ; ყველაზე სარჩოს მიმცემი ხარ, ჩვენს სუფრას უწყალობოდ ნუ დატოვებ.
ფეთთახი ხარ; ყველაფრის ბოლომდე გამღები ხარ, ცხვირწინ კარს ნუ დაგვიკეტავ.
ალიმი ხარ; ყველაფრის სრულყოფილად მცოდნე ხარ, ჩვენ უცოდინრობისაგან დაგვიფარე.
ააბიდი ხარ; სურვილისამებრ შემვიწროვებელი ხარ, ჩვენ ნუ შეგვავიწროვებ.
ბასითი ხარ; სურვილისამებრ გამფართოვებელი ხარ,ჩვენ სიფართოვით მოგვათქმევინე სული.
ჰაფიდი ხარ; სურვილისამებრ დამმდაბლებელი ხარ, ჩვენ ნუ დაგვამცირებ.
რაფი ხარ; სურვილისამებრ ამმაღლებელი ხარ, ჩვენ სიმაღლეებზე აგვიყვანე.
მუიზი ხარ; პატივისა და ღირსების მომცემი ხარ,ჩვენ ღირსება მოგვეც.
მუზილი ხარ; დამმდაბლებელი და არარაობად მქცევი ხარ, ჩვენ არ დაგვამდაბლო.
სემიი ხარ; ფარული, ღია, ყველანაირი სიტყვის მსმენელი ხარ, ჩვენ შენზე შეხმიანებისაგან ნუ დაგვაშორებ.
ბასირი ხარ; ყველაფერს მთელი სიფაქიზით ხედავ, ჩვენ სიფაქიზის დასანახი თვალები მოგვეც.
აადლი ხარ; ნამდვილი სიმართლის გამტარებელი ხარ, ჩვენ წვალებას გადაგვარჩინე.
ლატიფი ხარ;სიკეთე და დიდსულოვნება უხვად გაქვს, ჩვენ სიკეთის ზღვაზე გვატარე.
ჰაბირი ხარ; ყველა საქმის შესახებ ინფორმირებული ხარ, ჩვენ ჩვენს შესახებ არაინფორმირებულს ნუ დაგვტოვებ.
ჰალიმი ხარ; შენს გაჩენილებზე ლმობიერად მომპყრობი ხარ, ჩვენ ლმობიერად მოპყრობა გვასწავლე.
აზიმი ხარ; სიდიდისა და ბრწყინვალების პატრონი ხარ, ჩვენ ნუ დაგვამცირებ.
გაფური ხარ; შენს მონა მორჩილებზე ცოდვების მპატიებელი ხარ, ჩვენი ცოდვები ძალიან წვრილად აქციე.
შექური ხარ; მადლობების მიმღები ხარ, ჩვენ მადლობის თქმის შესაძლებლობა მოგვეც.
ჰაფიზი ხარ; ყველაფრის დამცველი ხარ,ჩვენ სიგლახეებისაგან დაგვიცე.
ჰასიბი ხარ; ყველაფერზე პასუხის მომთხოვნი ხარ,ჩვენ ისეთ მდგომარეობაში ნუ ჩაგვაგდებ, რომ პასუხი ვერ გაგცეთ.
ქერიმი ხარ; სიკეთისა და პატივისცემის უხვად მყოფელი ხარ, ჩვენ გულუხვობა გვასწავლე.
რაქიბი ხარ; ყველა არსების მეთვალყურე ხარ, ნუ დაივიწყებ ჩვენზე თვალის დევნებას.
მუჯიბი ხარ; თხოვნა ვედრების მიმღები ხარ, ჩვენს ვედრებას უპასუხოდ ნუ დატოვებ.
ჰაქიმი ხარ; ყველაფრის თავის ადგილას გამკეთებელი ხარ, ჩვენ უსარგებლო საქმეებს ჩამოგვაშორე.
ვედუდი ხარ; შენი მონა მორჩილები ძალიან გიყვარს, ჩვენ სიყვარული გვასწავლე.
ბაისი ხარ; მკვდრების გამცოცხლებელი ხარ, ჩვენ ბედნიერად გაგვაცოცხლე.
შეჰიდი ხარ; ყველაფრის მოწმე ხარ, ჩვენგან შენი სიყვარულის მოწმე იყავი.
ჰაყყი ხარ; ერთადერთი ჭეშმარიტება შენ ხარ, ჩვენ ჭეშმარიტება შთაგვაგონე.
ვექილი ხარ: შენ ხარ ის, ვისაც მიენდობიან; ჩვენ შენზე მინდობას ნუ დაგვავიწყებ.
ყავიი ხარ; ძალის პატრონი ხარ, ჩვენ შენი სიყვარულით გაგვაძლიერე.
მეთინი ხარ; შეურყეველი ხარ, ჩვენ ჩვენი სისუსტის ამარა ნუ მიგვატოვებ.
ველი ხარ; მორწმუნეთა მოყვარე ხარ, ჩვენ მოყვარედ მიგვიღე.
ჰამიდი ხარ; ქების ღირსი ხარ, ჩვენ შენი ქების სიამოვნება მოგვანიჭე.

52*

ღვთისმსახურება 53*

კარი პირველი
ჩვენი ღმერთის წინაშე დღეში ხუთჯერ ლოცვა (ნამაზი)
კარი მეორე
თავისთავის გაწვრთნა და ნებისყოფის სწავლა: მარხვა
კარი მესამე
1.ღმერთის მოცემულთაგან მისთვის დახარჯვა: ზექათი
2.სიწმინდისაკენ მგზავრობა: ჰაჯი 54*

„სთქვი (მუჰამმედ): უეჭველად, ჩემი ლოცვა და ჩემი წირვანი, ჩემი სიცოცხლე და ჩემი სიკვდილი სამყაროა ღმერთის– ალლაჰისთვისა.“ (სურა ენამი–საქონელი . აიათი 162)
*55**

შეისწავლე –გამოიკვლიე– იფიქრე

1. *ქელიმეი შეჰადეთი, ნამაზი (ლოცვა), მარხვა, ზექათი* და *ჰაჯი.*

უფროსებს შეეკითხეთ, ამ სიტყვათა მნიშვნელობების ან ლოცვების შესახებ ლექსი, მოთხრობა ან გამოცანა იციან თუ არა. რასაც ისწავლით, რვეულში ჩაწერეთ.

2. ამ კარის მეცადინეობის პერიოდში ამხანაგებთან შეთანხმებით თითო კვირა თითოეულ საკითხს დაუთმეთ: *ჯამეებისა და სასულიერო პირთა კვირა, გაჭირვებულთა დახმარების კვირა* და *სხვა.*

3. ალლაჰის სიყვარულის მოპოვების მიზნით გაკეთებული ყველა საქმე ღვთისმსახურებაა. სიტყვისაგან გამომდინარე ყოველდღიური ცხოვრების მაგალითებით ამ საკითხზე ამხანაგებთან ისაუბრეთ.

4.რამაზნის თვე რატომაა მნიშვნელოვანი და რატომაა ყადირის ღამე ათას თვეზე მეტად ხეირიანი.

5. ბევრი იკითხეთ წიგნები რელიგიის კულტურასა და ბავშვთა აღზრდის შესახებ. ქვემოთ მოცემული დიანეთის საქმეთა გამომცემლობის წიგნებიდან ღვთისმსახურების შესახებ არსებული თავები წაიკითხეთ:

ა.ჯიბის ილმიჰალი, მეჰმეთ სოიმენი

ბ. *რამაზანი და მარხვა*, სეიფეთთინ იაზიჯი

გ.*აკრძალულები და დიდი ცოდვები ისლამის რელიგიაში*, ლუთფი შენთურქი
56*

ღვთისმსახურება ღმერთზე გულითადად მიმხრობა, მის წინაშე ქედის მოხრა და მიყოლაა. ღვთისმსახურება, გამჩენის სიყვარულის შედეგია და მხოლოდ ალლაჰისათვის კეთდება. ყველა ღვთისმსახურებაში ალლაჰის რწმენაა გამოხატული. ადამიანი გამჩენის სიყვარულს როგორ გამოავლენს? თუ იცის ვინმემ რისგან იქნება იგი კმაყოფილი? ალლაჰმა ყურანში ძვირფას შუამავალს ასე უბრძანა:

„უთხარი (მუჰამმედ): თუ ალლაჰი გიყვართ, მაშინ მომყევით მე, რომ ალლაჰმა შეგიყვაროს თქვენ და შეგინდოს თქვენ ცოდვები თქვენი, ალლაჰი შემნდობი და შემწყნარებელია.“(სურა ალი იმრანი, აიათი 31)

ესე იგი, ღვთისმსახურება მხოლოდ ჩვენს ძვირფას შუამავალზე დაჯერებით, მის გზაზე გაყოლითაა შესაძლებელი. რა თქმა უნდა, ყველა ღვთისმსახურების არსი, ალლაჰსა და ძვირფას შუამავალზე დაჯერება და მათზე დამოკიდებულების გამოხატვაა, რომელიც ქელიმეი შეჰადეთშია ჩამოყალიბებული: 57*

მჯერა, რომ ალლაჰის გარდა სხვა ღმერთი არ არსებობს. და მოწმე ვარ რომ მუჰამმედი მისი მსახური და შუამავალია.
58*

ადამიანის რწმენისაგან გამომდინარე გაკეთებული კარგი, დადებითი და სასარგებლო ყველა საქმე ღვთისმსახურებად ითვლება. ალლაჰის გზაზე გარჯა, სიკეთისათვის წახალისება, სიგლახეებზე წინ აღდგომა, ყურანის კითხვა და ასე შემდეგ ნამაზი, მარხვა და ზექათი კი ისლამის ძირითადი ღვთისმსახურებებია. ამ ღვთისმსახურებათა დროს, ადგილს, გაკეთების ფორმასა და რაოდენობას ჩვენი სარწმუნოება გვასწავლის.

ჭკვიან, მოწიფულ და საჭირო პირობების მქონე ყველა მუსლიმანს ამ ღვთისმსახურებათა შესრულება ევალება. ამ თვისებების მქონე ადამიანს მუქელლეფი (პასუხისმგებელი) ჰქვია. 59*

დათვალეთ ერთი დღის განმავლობაში ნალოცი ხუთი დროის ნამაზის ლოცვისას სიტყვა „ალლაჰუ ექბერ“–ს რამდენჯერ ვიმეორებთ. უფროსებთან ერთად იმსჯელეთ ამ სიტყვის მნიშვნელობასა და ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში მისი ადგილის შესახებ.
60*

ფარძი (სავალდებულო)

მოქმედებები, რომელთა შესრულებასაც ჩვენი სარწმუნოება მტკიცედ ბრძანებს, ყველა მოწიფულის მხრიდან აუცილებლად გასაკეთებელია, შეუსრულებლობა კი ცოდვად ითვლება. მაგალითად. სიტყვის არ გატეხვა, ნამაზის ლოცვა, სამართლიანად მოქცევა.

ჰარამი (აკრძალული)

მოქმედებები, რომლებსაც ჩვენი სარწმუნოება მთელი სიმკაცრით კრძალავს, მუსლიმანმა ადამიანმა არ უნდა გააკეთოს, თუ გააკეთებს ცოდვას ჩაიდენს. როგორიცაა ტყუილის თქმა, ჭორაობა, ქურდობა და სხვ.

სუნნეთი (შუამავლის ნამოქმედარი)

მოქმედებები, რომლებსაც ჩვენი შუამავალი აკეთებდა და რომელთა გაკეთებასაც ურჩევდა ადამიანებს. როგორიცაა ადამიანთა მიმართ მღიმარი სახით ყოფნა. კბილების გამოწმენდა, კოხტად ჩაცმა და სხვა.

მექრუჰი (მოუწონარი)

მოქმედებები, რომლებიც ჩვენს სარწმუნოებაში იკრძალება, მაგრამ მტკიცე სამტკიცებს არ ეყრდნობა. როგორიცაა ქუჩის დანაგვიანება, ლოცვისას სხვა რამეებზე ყურადღების მიქცევა და სხვა.

მუბაჰი

მოქმედებები, რომელთა გაკეთების მხრივ მუსლიმანებს ისლამი თავიანთ ნებაზე ტოვებს. როგორიცაა ჭამა-სმა, სეირნობა, ზომიერებით ვაჭრობა და სხვა.

61*

კარი პირველი
ჩვენი ღმერთის წინაშე დღეში ხუთჯერ:
ლოცვა 62*

უეჭველად, მე ვარ ალლაჰი. არ არსებობს ღმერთი გარდა ჩემისა. ამიტომ მეთაყვანე მე და შეასრულე ნამაზი ჩემი ხსენებისთვის. (სურა ტა ჰა, აიათი 14.) 63*

ისლამის ძირითად პირობათაგან ერთ–ერთი ნამაზის ლოცვაა. ნამაზის ლოცვა, ღმერთის გახსენება და მასზე ვედრების მიზნით გარკვეულ დროებში, გარკვეული მოქმედებებით დღეში ხუთჯერ შესასრულებელი ფარძია. ადამიანს სულიერად ღმერთთან აამაღლებს. ნამაზი რწმენის შემდეგ სარწმუნოების ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძანებაა.

ნამაზის თავის დროზე შესრულება, ალლაჰისთვის ყველაზე საყვარელ ქმედებათა შორისაა. წინა ღვთიურ რელიგიებშიც ლოცვა ფარძი იყო. რაიმე გამოუალი მიზეზის გარეშე ლოცვის შეუსრულებლობა დიდი ცოდვაა. ნამაზის ლოცვა სავალდებულოა მაშინაც, როცა წყალი არ მოიპოვება–თეიმუმის გაკეთებით, ხოლო ავდმყოფობისას მჯდომარედ ანდა მწოლიარედ.

64*

ლოცვა რწმენის საძირკველი,
მორწმუნის ამაღლება,
ჩვენი თვალის სინათლე,
სამოთხის გასაღებია. 65*

ნამაზის ფარძები (აუცილებლობები)

ნამაზს 12 ფარძი აქვს. 6 ლოცვის დაწყებამდე კეთდება; ამათ ლოცვის გარე პირობები ჰქვია. 6 კი ლოცვის შიგნით ხორციელდება; ამათ ლოცვის შიდა პირობები ჰქვია

1. ნამაზის პირობები

ლოცვა ადამიანსა და ალლაჰს შორის ერთგვარი შეხვედრაა. ასეთი მნიშვნელოვანი შეხვედრა მოუმზადებლად არ შეიძლება. ლოცვის დაწყებამდე შესასრულებელი რიგი პირობები არსებობს;

1. ჰადესისაგან თაჰარეთი: სულიერი სიბინძურისაგან გასუფთავებას ნიშნავს. ადამიანი გამჩენის წინაშე ყოველგვარი უარყოფითობებისაგან გაწმენდილი და გასუფთავებული უნდა წარსდგეს. აბდესთი და ღუსლი, ლოცვამდე სიბინძურეებისაგან გასუფთავებას ნიშნავს.

2. ნეჯასეთისაგან თაჰარეთი: სალოცავი ადგილი და მლოცველის ტანსაცმელი, რომელიც მას აცვია, სუფთა უნდა იყოს. ჩვენი ძვირფასი შუამავალი ბრძანებს: „სისუფთავე ლოცვის გასაღებია“.

3. სეთრი ავრეთი: სასირცხო ადგილების დაფარვას ჰქვია. ნამაზის მლოცველმა ლოცვის დროს საფარავი ადგილები უნდა დაფაროს.

4. ისთიყბალი ყიბლე: ქააბეს მიმართულებით შებრუნებას ნიშნავს. გულის ალლაჰისაკენ მიპყრობას გამოხატავს.

5. დრო (ვაქითი): ყველა ლოცვას თავისი დრო აქვს და იმ დროს ილოცება. დაძინების ან დავიწყების შემთხვევაში თავის დროზე შეუსრულებელი ლოცვების ლოცვა ყველაზე მოკლე დროში შეიძლება.

6. განზრახვა (ნიეთი): ლოცვა მხოლოდ რამდენიმე მოქმედების შესრულება არაა. ამ მოქმედებებისა და ფორმების ლოცვის მიზნით შესრულებაა აუცილებელი. ამასთან ერთად ენით წარმოთქმაც ლამაზია.

66*

(მუჰამმედ) წაიკითხე წიგნი (ყურანი), რომელიც შთაგეგონა, და შეასრულე ლოცვა– ნამაზი. უეჭველად ლოცვა– ნამაზი, (ადამიანს) უნამუსობასა და სიგლახეს განაცილებს. და უთუოდ, ალლაჰის ხსენება ყველაზე უდიდესია. და ალლაჰმა უწყის რასაც სჩადიხართ.
(სურა ანქებუთ–ობობა, აიათი 45)

67*

2. ლოცვის შიდა სავალდებულო პირობები

ადამიანი, რომელმაც ლოცვის გარე სავალდებულო პირობები შეასრულა, უკვე შეუძლია ნამაზი ილოცოს. ლოცვის დროსაც არსებობს აუცილებელი შესასრულებელი პირობები, რომელსაც ნამაზის შიდა სავალდებულო პირობები ჰქვია:

1. იფთითაჰის (საწყისი) თექბირი: ყველა ლოცვა აუცილებლად ალლაჰის დიდების გამომხატველი „ალლაჰუ ექბერ“ –ის თქმით იწყება.
2. ყიამი (დგომა): ვისაც ძალა შესწევს, ლოცვა ფეხზე დგომით უნდა შეასრულოს.
3. ყირაათი (კითხვა) : ყურანის კითხვა.
4. რუქუღი (წელში მოხრა) :ხელების მუხლებზე დაწყობით ალლაჰის წინაშე წელში მოხრა.
5. სეჯდე : ალლაჰის წინაშე, შუბლის, ცხვირის, ორთავე მუხლით, ორთავე ხელის, ორთავე ფეხის ძირს შეხებით მთხვევა.
6. კადეი ახირე (ბოლო დაჯდომა): ლოცვის ბოლოს ეთთეჰიიათის, ვედრების (დუის) კითხვის დამთავრებამდე მოცდაა.

რადგანაც სარწმუნოების არსი ერთობასა და ერთიანობაში მდგომარეობს, ლოცვის ჯგუფურად (ჯამაათით) შესრულება უკეთესია. ამასთან ერთად ისეთი ლოცვები არსებობს, რომელთა შესრულებაც ჯგუფურადაა აუცილებელი: კვირაში ერთხელ ჯუმის (პარასკევის) ლოცვა და წელწადში ორჯერ ბაირამის ლოცვა.

68*

მუჰამმედ შუამავალმა ერთ დღეს ამხანაგებს უთხრა: „თქვენს კარებთან მდინარე, რომ მიედინებოდეს და დღეში ხუთჯერ რომ დაიბანოთ, რაიმე ჭუჭყი დაგრჩებათ?“, „არა“– უპასუხეს ამხანაგებმა. მაშინ შუამავალმა ბრძანა: „აი, ხუთი დროის ნამაზის ლოცვაც ასეა. ალლაჰი ადამიანს ნამაზის ლოცვით ცოდვებისაგან სწმენდს“ (წმინდა ჰადისი)

69*

აბდესის ფარძები

1.ხელებისა და პირისახის დაბანა.
2.მკლავების დაბანა იდაყვების ჩათვლით.
3.თავის სულ ცოტა ერთი მეოთხედი ნაწილის (დასველება) მესჰი.
4.ფეხების დაბანა კოჭების ჩათვლით.

განბანვის ფარძები

1.პირის ღრუს გამობანა.
2. ცხვირის ღრუს გამობანა.
3. მთელი სხეულის დაბანა.

თეიემუმის ფარძები

1. განზრახვა (ნიეთის გაკეთება).
2. ორჯერ ხელებით სუფთა მიწაზე შეხება, პირველი შეხებისას სახეზე ხელების ჩამოსმა, მეორე შეხებისას მკლავებზე ხელის მოსმა (მესჰის გაკეთება).

ადამიანი, რომელიც ასრულებს ლოცვას...

... ყველა ბინძური და ცუდი მოქმედებისაგან დაცულია.
...ალლაჰის სიდიადის ხშირად ხსენებით, მისდამი რწმენას იძლიერებს.
...ყოველთვის ღმერთს იხსენებს, მთელ დღეს ყველა მოქმედებით ცდილობს, ალლაჰის კმაყოფილება მოიპოვოს.
...აბდესს აიღებს და თავის სისუფთავეს მიაქცევს ყურადღებას, სუფთად ყოფნას ეჩვევა. გარდა ამისა, აბდესი მას სულიერ სიმტკიცეს მატებს.

70*

გამოიკვლიეთ ქვემოთ მოცემული მეჩეთის გეგმა. მეჩეთის ხელმძღვანელის მიერ გეგმაზე ციფრებით აღნიშნული ნაწილების სახელები შეისწავლეთ და დაწერეთ.

71*

...დაწესებულ დროებში ნამაზის ლოცვით დროის დაგეგმვას სწავლობს.
... გარკვეული დროის მონაკვეთებში ყოველდღიურ ცხოვრებისეულ საქმეს, ფაცი–ფუცსა და შფოთს განშორდება და ღმერთთან დაკავშირების ბედნიერებას ეზიარება.
...ემორჩილება დიდი ალლაჰის ბრძანებას: ***„ჰეი, მორწმუნენო! ეძიეთ დახმარება (ალლაჰისა) მოთმინებაში და ლოცვაში, უეჭველად ის მომთმენებთანაა.“ (სურა ფური-ბაყარა,აიათი 153)*** და ამით იძენს სიძნელეთა დაძლევის მხნეობას.

...ნამაზების ლოცვით გაინათებს სულს და გაიძლიერებს რწმენას.

...ეძლევა საშუალება (დრო და ადგილი) გამოხატოს ალლაჰისადმი მადლიერება სხეულით, ენით, გონებით, გულით. 72*

კარი მეორე 74*

სიგლახეებზე ჩამოშორების მასწავლებელი: მარხვა 73*

„ჰეი, მორწმუნენო! თქვენ დაგევალდებულათ მარხვა, როგორც დაევალდებულათ თქვენს წინამორბედთ. იმედია, თქვენ ღვთის მოშიშნი იქნებით.“ (სურა ფური_ბაყარა, *აიათი* 183)

74*

რამაზნის თვის მარხვა, ისლამის ერთ–ერთი ძირითადი საფუძველთაგანია. მარხვა არის მუსლიმანი ქალისა და კაცის მიერ დილის ცისკრიდან საღამომდე შეგნებულად არაფრის ჭამა, არაფრის სმა და სქესობრივი კავშირის <u>გამორიცხვა</u>. მარხვა ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების მიზნით უნდა შესრულდეს.

ადამიანმა შესაძლებელია მგზავრობისა და ავადმყოფობის დროს არ იმარხოს, მაგრამ როცა ამგვარი მდგომარეობა დასრულდება, გამოტოვებული მარხვა უნდა აანაზღაუროს. ვისაც აქვს ისეთი შეუწყვეტელი ავადმყოფობა, რომელიც მარხვაში ხელს უშლის, ის, ყოველი უმარხავი დღის სანაცვლოდ ერთ გამოსასყიდს (ფიდიეს) გასცემს. ის, ვინც არ მარხულობს, თუ მოერიდება ისეთ ადგილებზე ჭამასა და სმას, სადაც მარხულები დაინახავენ, ეს იქნება მის მიერ მარხულებისა და რამაზნის თვისადმი პატივისცემა. საღამოს სერობის (იფთრის) დრომდე შეგნებულად რაიმეს ჭამა, სმა და სქესობრივი კავშირი მარხვას გატეხს. 76*

რას ნიშნავს მარხვა, მარხვის ყოველდღიური დასრულება, მარხვის გატეხა? მონახეთ ლექსიკონებში, ჰკითხეთ უფროსებს და ისწავლეთ მათი მნიშვნელობები.
77*

იმსაქი: მარხვის დაწყების დრო. განთიადამდე ცოტათი ადრე, დილის ნამაზის დროის დასაწყისი.

იფთარი: მარხვის ყოველდღიური დამთავრების დრო, მზის ჩასვლისა და საღამოს ნამაზის დროს დასაწყისი.

ყაზა: რამაზნის თვეში მგზავრობის ან ავადმყოფობის გამო მარხვის შეუსრულებლობის შემდეგ, პიროვნების მიერ ხელსაყრელ დროს, გამოტოვებული თითოეული დღისათვის ერთი დღის მარხვითი ანაზღაურება.

ფიდიე: პიროვნების მიერ თავის დროზე გამოტოვებული, შემდეგში კი გამუდმებული არახელსაყრელი, გამოუვალი მიზეზის გამო აუნაზღაურებელი ერთი დღის მარხვის სანაცვლოდ ღარიბზე იმდენი საჭმლის საფასურის მიცემა, რამდენსაც ერთ დღეში თავად ჭამს , ან ერთი ღარიბის ერთი დღით დაპურება.

78*

ადამიანი, რომელიც მარხულობს...

...განსაკუთრებული ჯილდოს მიღების უფლებას მოიპოვებს. მუჰამმედ შუამავალი გვამცნობს ალლაჰის ბრძანებას: „მარხვა ჩემთვისაა, მის საზღაურს მე მივცემ.“(წმინდა ჰადისი).

...თავისივე ნებით აიღებს ხელს თავის სურვილებზე და თავდაჭერილობას ისწავლის

...შიმშილითა და წყურვილით გამოწვეული სიძნელის განცდის შედეგად გაიძლიერებს ამტანობასა და მოთმინებას. მუჰამმედ შუამავალი ბრძანებს: „*მარხვა მოთმინების ნახევარია*“.(წმინდა ჰადისი).

...თავის უსაზღვრო სურვილებსა და ვნებებს დაიოკებს, ადამიანთა შორის უსიამოვნობის მომტან ზღვარგადასულ საქციელს დათმობს.

...ენას უცენზურო და უხამსი სიტყვებისაგან დაიცავს. მუჰამმედ შუამავალი ბრძანებს: „*თუ კი ვინმე კინკლაობას ან ჩხუბს დაგიწყებს, უთხარით მარხული ვარო*“.(წმინდა ჰადისი).

...მასზე უფრო გაჭირვებაში მყოფთა მდგომარეობას მიხვდება და მათ დასახმარებლად ყველა ღონეს იხმარს.

... იცის, რომ რწმენითა და სამაგიეროს მხოლოდ ალლაჰისაგან ლოდინით მარხვის შედეგად წარსულში ჩადენილი ცოდვები ეპატიება და სიცოცხლის დარჩენილი დროის წმინდად გატარებას შეუდგება; ცოდვებისა და სიგლახეებისაგან შორს დადგება.

... დარწმუნდება, რომ თერთმეტი თვის განმავლობაში ყოველდღიური ცხოვრების რიტმის შეცვლა შეუძლია. ამგვარად, თვითონაც მიხვდება, რომ სიკეთისა და სილამაზისაკენ შემობრუნება შესაძლებელია. 79*

ქვემოთ მოცემულია დღიურის ერთი ნაწილი. მას გასართობად წაიკითხავთ, რადგან ზოგიერთი სიტყვა დაშიფრულია. სცადეთ ამოხსნით თუ ვერა შიფრს? 80*

„ერთი ვარდის ფოთოლი მოგონებათა რვეულში“

25 დეკემბერი

დღეს ჩვენს ოჯახში მხიარულებაა. დედამ სამზარეულოში საქმეები მოათავა და საჩქაროდ საყიდლებზე გავიდა. ბაბუა ბებიას ყავის მოდუღებას სთხოვს. ბებია მას აფრთხილებს. ბაბუა ამბობ:, „ნუ მსაყვედურობ. მთელი ..... თვის განმავლობაში მე შენ ყავას აღარ მოგთხოვ“. ბაბუა ყავის გარეშე ვერ გაძლებს. ვნახოთ, თავის სიტყვას როგორ შეასრულებს. დღეს პირველი ..... ნამაზი უნდა შესრულდეს. პირველ ..... უნდა ავდგეთ.

დედას ვუთხარი, რომ წლეულს რამაზანში თავიდან ბოლომდე ვიმარხულებდი. ძალიან გაუხარდა. ვახშმობის შემდეგ აბდესი ავიღეთ და ჯამეში წავედით. ჯამე ხალხით იყო სავსე. ლოცვის შემდეგ ჯამიდან გამომსვლელ ადამიანებს ვუცქირე და ენთუზიაზმით აღსავსე ზღვა ხალხი რომ ვნახე, ღმერთისადმი მადლიერება გამოვთქვი.

26 დეკემბერი

სკოლაში დამავიწყდა, რომ მარხული ვიყავი და წყალი დავლიე. ბებიამ ამიხსნა, რომ ამით მარხვა არ გატეხილა, რადგან ეს შეგნებულად არ გამიკეთებია და მითხრა: „შენ ალლაჰს უყვარხარ. ნახე, როგორ დაგეხმარა წყურვილის მოკვლაში“. „მეც მიყვარს ალლაჰი“-ვუპასუხე მე. როცა მომშივდა ბაბუამ მირჩია, რაიმეთი გავრთობილიყავი. ჩემს მიერ ნახულ გასართობში თვითონაც ჩავითრიე. ერთად ამოვხსენით გაზეთში გამოქვეყნებული მარხვის კროსვორდი. მე კითხვები წავიკითხე. ბაბუამ პასუხები გასცა. უჰ, რამდენი რამ იცის ბაბუაჩემმა?!

დედამ რამაზანისთვის განსაკუთრებული რეცეპტით ტკბილეული დაამზადა. როცა ტკბილეულიანი თეფში წინ მივიჩოჩე, ბაბუამ მითხრა: „ ..... სუფრა ყველაზე საუკეთესო მომენტია იმისათვის, რომ ადამიანმა მოთმინება და ზრდილობა ასწავლოს საკუთარ თავს“, და თავზე ხელი გადამისვა. ..... კითხვამდე ცოტა დრო იყო დარჩენილი. დრო ძალიან ნელა გადიოდა. ..... ხმა გაისმა „ღმერთო ჩემო, რა კარგია ეს ეზნის ხმა “- ვთქვი მე. ყველამ გაიღიმა.

81*

კარი მესამე
82*

1.ალლაჰის მოცემულთაგან მისთვისვე დახარჯვა: ზექათი
83*

„ მიიღე მათი ქონებიდან სამოწყალო (ზექათი), რათა მისით განწმინდო და განამრთელო და დალოცე ისინი..... (აალაფი–ნადავლი, *აიათი* 103). 84*

ისლამის ძირითადი საფუძვლებიდან ერთ-ერთი ზექათია. ზექათი ქონებით გაწეული ღვთისმსახურებაა. ზექათი, ძირითადი პირადი საჭიროებების დაკმაყოფილების შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში შენახული გარკვეული რაოდენობის ქონების რაღაც ნაწილი (ძირითადად ორმოციდან ერთი) წელიწადში ერთხელ გაჭირვებულებს უნდა მიეცეს. ზექათი, ყურანში თითქმის ყველგან ნამაზთან ერთადაა ნახსენები. ესე იგი, ზექათმა მუსლიმანების ცხოვრებაში ნამაზის მსგავსად მასიური ადგილი უნდა დაიჭიროს;

„ალლაჰმა სიცოცხლის მანძილზე მე ლოცვა და ზექათი მიბრძანა“ (სურა მერიემი, *აიათი* 31)

ზექათი არის, არა მდიდარის წყალობა ღარიბის მიმართ, არამედ ღარიბის წილი მდიდარის ქონებაში.

„მდიდრების ქონებაში წილი აქვს (დახმარების) მთხოვნელსა და უძლურ–უქონელს.“(სურა ზარიათი, *აიათი* 19)

მდიდარმა ადამიანმა ზექათის მიცემისას უნდა ეცადოს, რომ ზექათის ამღებს გული არ ატკინოს, რადგან სიკეთის გაკეთება და შემდეგ დაყვედრება სიკეთის ფუჭად ჩავლის მიზეზი გახდება.

შეიძლება პირველად ისე ჩანდეს, რომ ზექათის გადახდით ქონება კლებულობს, მაგრამ ქონება, რომლის ზექათიც გადახდილია, ალლაჰის მოცემული ბარაქათი გამრავლდება:

„მაგალითი იმათი, ვინც თავიანთს ქონებას ალლაჰის გზაზე ხარჯავენ, ჰგავს მაგალითს მარცვლისას, რომელიც შვიდი თავთავით აღმოაცენა და თითოეულ იმ მარცვალში ასი მარცვალია. ალლაჰი უმრავლებს იმას, ვისთვისაც (ვინც)ჰსურს. ალლაჰი ყოვლისმომცველი და მცოდნეა.“(სურა ფური-ბაყარა, აიათი 261). 85*

„უთუოდ გადარჩნენ მორწმუნეები, რომლებიც თავინთი ლოცვისას მოშიშნი არიან. და რომლებიც უაზროსგან ზურგშექცეულნი არიან. და რომლებიც ზექათის შემსრულებელნი (გადამხდელნი) არიან.“(სურა მორწმუნენი, აიათი 1–4) 86*

ზექათის თვალსაზრისით შეაფასეთ ქვემოთ მოცემული ინუს ემრეს ლექსი და თქვენი შეხედულებები ამხანაგებს გაუზიარეთ.

ქონების მეპატრონე, სიმდიდრის პატრონე
აბა, მითხარ სად არის პირველი მეპატრონე,
სიყალბეა ქონებაც და სიყალბეა სიმდიდრეც,
მიდი აბა ცოტა ხნით, შენც თავი შეიქციე. 87*

ადამიანი, რომელიც ზექათს იხდის...

... გაისუფთავებს თავს ისეთი ცუდი ჩვევებისაგან, როგორიცაა ეგოიზმი, სიძუნწე და სიამაყე.

... გაიცნობიერებს, რომ მოცემული სიკეთეებისთვის ალლაჰისადმი მადლობის გადახდაა საჭირო და ეს, მხოლოდ სიტყვიერად არ არის საკმარისი.

...მონაწილეობას იღებს მდიდართა და ღარიბთა შორის ეკონომიკური უთანასწორობის დაძლევაში. ამგვარად, მას თავისი წვლილი შეაქვს მდიდარსა და ღარიბს შორის იდუმალი სიახლოვის, ურთიერთ პატივისცემისა და ურთიერთ სიყვარულის ჩამოყალიბების, საზოგადოებრივი მშვიდობის დამყარების საქმეში.

... ხელს უწყობს საზოგადოებაში ისეთი ცუდი და სამარცხვინო ქმედებების აღმოფხვრას, როგორიცაა მათხოვრობა, ქურდობა და ყაჩაღობა.

...საზოგადოებრივ–ჰუმანურ მოვალეობებს მიხვდება, ერთობისა და ერთიანობის გრძნობა მოემატება. როგორც სხეულის ერთი ნაწილის ატკივებისას სხვა ორგანოებიც გრძნობენ ავადმყოფობას, იმის მსგავსად, საზოგადოებაში არსებული პრობლემების გამო ტკივილს თვითონაც იგრძნობს და მათ დაძლევაში თავის წვლილს შეიტანს.

...თავისთავს მის მფლობელობაში მყოფი ფულისა და ქონების მონობისაგან გაითავისუფლებს; აღიარებს, რომ მის ხელთ არსებული ქონების ნამდვილი მეპატრონე ალლაჰია.

...გაცემით, გაზიარებით, დახმარებით, მოძმეზე გაჭირვების ჟამს ხელის გაწოდებით ძირითადი ადამიანური ღირსებებით აღიჭურვება და ძვირფასი მუჰამმედ შუამავლის მახარობელობის თანახმად ბედნიერი იქნება: „მიმცემი ხელი ამღებ ხელზე უპირატესია“.
88*

„ცოტა მოწყალება (სადაყა) ბევრ უბედურებას გააქარწყლებს.“ -გამონათქვამის აზრის შესახებ ამხანაგებთან იმსჯელეთ.
*89**

2.მოგზაურობა წმინდა ადგილებში:
ჰაჯობა 90*

„ ...ალლაჰის გულისთვის ამ სახლის (ქაბის) მოვლა–მონახულება ვალდებულებაა ადამიანებზე, (იმათზე), ვისაც ძალუძს მისი მოვლა–მონახულება.“ (სურა ალი იმრანი, აიათი 97). 91*

ჰაჯობა ისლამის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველთაგანია. ჰაჯობა ქონებითა და სხეულით შესასრულებელი ღვთისმსახურებაა. ჰაჯობა წლის გარკვეულ დროს მექაში მყოფი ქააბესა და გარკვეული წმინდა ადგილების მონახულებას ნიშნავს. ეს არის ის წლიური შეკრების დრო და ადგილი, სადაც ერთმანეთის მიმართ თანასწორ ვითარებაში იკრიბებიან სხვადასხვა რასის, სქესის, ენის, სოციალური მდგომარეობის და ასაკის ადამიანები.

ჰაჯობის მოგზაურობისას მოსანახულებელი წმინდა ადგილებია: ქალაქ მექაში მდებარე ქააბე, საფა, მერვე, არაფატი, მუზდელიფე, მინა. 92*

ჰაჯობაზე ნამყოფ თქვენს ახლობელს (ნაცნობს) ჰკითხეთ, თუ რა მოინახულა და რა იგრძნო იქ. 93*

მექას გარშემო ***მიქათად*** წოდებული ადგილები ***ჰარემის*** (ჰაჯობისთვის მოწესრიგების) ტერიტორიის საზღვრებს მოიცავს. ამ საზღვრებთან მისვლის შემდეგ ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და წინდები უნდა გაიხადო და ორ პირსახოცში უნდა შეახვიო, ჰაჯობისათვის განზრახვა უნდა ჰყო (ნიეთი უნდა გააკეთო) და ***თელბიე*** (*ლებბეიქ ალლაჰუმმე ლებბეიქ*) წარმოთქვა. ამრიგად, უკვე ***იჰრამში*** იმყოფები და ჰაჯობის ღვთისმსახურება დაწყებულია.

ჰაჯობის თვეებში ჰაჯობის სხვა რიტუალები წესის მიხედვით უნდა შესრულდეს. ჰაჯობის ხვედრის მომნიჭებელი, შესაძლებლობისა და საშუალების მომცემი ალლაჰის მიმართ მადლობის გამოხატვის მიზნით ყურბანი უნდა დაიკლას. ამით ჰაჯობა დასრულდება. 94*

ჰაჯობის ფარძები

იჰრამი: ადამიანი, რომელიც ჰაჯობისათვის განზრახვას ჰყოფს (ნიეთის გაკეთებს) და თელბიეს წარმოთქვამს, სხვა დროებისათვის ნორმალური მოქმედებები: ყვავილის მოწყვეტა, ხის მოჭრა, წვერის გაპარსვა, თმის შეკრეჭა, შეკერილი ტანსაცმლის ჩაცმა, ნადირობა და მსგავსი ზოგიერთი საქმეები ჰაჯობის პერიოდში არ უნდა გააკეთოს.

ქააბეზე გარს შემოვლის რიტუალი: ჰაჯერულესვედის (შავი ქვა) მდებარე კუთხიდან დაწყება და ქააბეს გარშემო შვიდჯერ შემოვლა.

არაფატზე შეჩერება: ჰაჯების მიერ მექას სამხრეთ აღმოსავლეთით მდებარე არაფატის მთაზე ასვლა და ყურბანის ბაირამამდე ერთი დღით ადრე რამდენიმე ხნით იქ გაჩერება. 95*

ყურბნის შეწირვის ღვთისმსახურება, როგორც პიროვნებისთვის ასევე საზოგადოებისათვის სხვადასხვა სახის სარგებლობის მომტანი ღვთისმსახურებაა. ყურბნის შემწირველი ალლაჰზე დამოკიდებულებას აღიარებს და საზოგადოებაში ძმობისა და ურთიერთდახმარების დამკვიდრებაში შეაქვს წვლილი. 96*

თელბიე

ღმერთო ჩემო! შენს ბრძანებებზე მორჩილებას დიდი სიამოვნებით ვაღიარებ,
მზადა ვარ შენი ბრძანების შესასრულებლად, ყოვლისშემძლე ჩემო ალლაჰო!
შენ ხარ ჩემი ერთადერთი სადიდებელი, ქება-დიდება შენთვისაა
ჩემზე ბოძებული ყველა სიკეთე შენ გეკუთვნის, ყველაფერი შენია...
არ არსებობს შენი მოზიარე და თანასწორი. *97**

ადამიანი, რომელიც ჰაჯობას ასრულებს...

...სადა ტანსაცმელში სხვა ჰაჯებთან ერთად თანასწორ პირობებში მოქმედებით თანასწორობის გრძნობებს განივითარებს.

...თანამდებობა, წოდება, სიმდიდრე, ქონება და მსგავსი იურიდიული და ეკონომიკური ღირებულებების წარმავლობაში კიდევ ერთხელ დარწმუნდება, სამართლიანობის გრძნობას განივითარებს.

...რასის, სქესის, ენის, ასაკისა და სხვა ყოველგვარი განსხვავების დროებითობას და უმნიშვნელობას მიხვდება. ისლამის, ძმობის ძალით ყველა ადამიანის გაცნობა–დაახლოების მნიშვნელობას გაიგებს.

...ალლაჰის წინაშე ადამიანების ნამოქმედარის გამო განკითხვის დღეს გაიხსენებს და საიქიოსათვის მზადების აუცილებლობის ცნებას მოიპოვებს.

...მოთმინებას, სიძნელეებზე გამკლავებას, ჯგუფურად მოქმედებისუნარიანობას, ურთიერთდახმარებასა და სოლიდარობის მსგავს ღირებულებებს შეიძენს.

...ალლაჰის მიერ მასზე ნაბოძები ჯამრთელობის, მოხერხების, ქონების, სიმდიდრის და მსგავი სიკეთეებისათვის მადლობას იხდის.

...ძვირფასი მუჰამმედ შუამავლისა და მისი თანამოაზრეების ნამყოფი ადგილების მონახულებით მათ მიერ დატოვებულ წერილს უფრო კარგად გამოეპატრონება.

...სარწმუნოების პიროვნული მხარის გარდა მის საზოგადოებრივ მნიშვნელობასაც შეიცნობს და ხალხის წინაშე უფლებებისა და მოვალეობების მიმართ პასუხიგებლობას აიღებს. 98*

კროსვორდი

1. ალლაჰის წერილების შუამავალზე ჩამომტანი ანგელოზის სახელი.
2. ცოდვილთა სამყოფელი საიქიოში.
3. მეჩეთის ზემოთ აღმართული კოშკი, რომლიდანაც მლოცველებს სალოცავად უხმობენ.
4. მუდმივი სამყოფელი ადგილი ამ ქვეყნის შემდეგ.
5. ალლაჰი.
6. დამჯერებელი, რომელსაც სწამს.
7. ისლამის მიმდევარი.
8. ალლაჰის სახელების კრებული. ალლაჰის ლამაზი სახელები.
9. ის, რაც ნამდვილია. ტყუილი არ არის. სინამდვილე.
10. წმინდა წყალი მექაში.
11. მადლიან ხალხთა სამყოფელი საიქიოში.
12. ჩვენი სარწმუნოება.
13. ალლაჰის მიერ იესო შუამავალზე გარდმოვლენილი წიგნის სახელი.
14. იბრაჰიმ შუამავლის შვილი, რომელიც მამას ყურბნად უნდა შეეწირა.

99*

კროსვორდი

ზნეობა 100*

კარი პირველი

1. ისლამი ლამაზი ზნეობაა
2. ძვრფასი მუჰამმედ შუამავალი, როგორც ზნეობის წყარო

კარი მეორე

ვალდებულებები თავისთვისა და ჩვენი ოჯახის წინაშე.

კარი მესამე

მოვალეობები გარემოსა და მთელი კაცობრიობის წინაშე. 101*

და მორწმუნე კაცნი და მორწმუნე ქალნი ერთმანეთის მეგობარნი არიან: (ერთმანეთსავე) მოუწოდებენ სიკეთეს და უკრძალავენ ბოროტებას; და ა(ღა)სრულებენ ნამაზს–ლოცვას და იხდიან ზექათს, და ემორჩილებიან ალლაჰსა და მის შუამავალს. აი, ისინი არიან, რომელთაც ალლაჰი შეიწყალებს, (რადგან), უეჭველად ალლაჰი ძლიერია, (და) ბრძენია. (სურა მონანიება, აიათი 71.) 102*

შეისწავლე, გამოიკვლიე, იფიქრე:

1. შეისწავლეთ სიტყვები: ფარძი, ვაჯიბი, სუნნეთი, მუბაჰი მუსთეჰაბი და მეგობრებთან ერთად იმსჯელეთ მათ შორის სხვაობებზე.
2. კეთილი ზნეობა ცხოვრების კანონად რომ ვაქციოთ, ამისათვის რა უნდა გავაკეთოთ?
3. ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ადამიანის ცხოვრების ისტორია გამოიკვლიეთ და მისი სამაგალითო ქცევები ამხანაგებს გააცანით.
4. იმსჯელეთ თქვენი ყველაზე ლამაზი და გამორჩეული ზნეობრივი ქცევის შესახებ და დაფიქრდით, რა სარგებლობა მოაქვს თქვენთვის მას.
5. რას გააკეთებს მუსლიმანი, რომელმაც იცის თავისთავისა და ოჯახის წინაშე არსებული მოვალეობები?
6. რას ხვდებით მუჰამმედ შუამავლის სიტყვებიდან –„ბავშვი მუსლიმნად იბადება“?
7. იმსჯელეთ ახლობლებთან და სთხოვეთ გიამბონ, რას ხედავენ ისინი მუჰამმედ შუამავლის ზნეობაში?
8. რას გააკეთებს მუსლიმანი, რომელმაც იცის გარემოსა და მთელი კაცობრიობის წინაშე არსებული მოვალეობები?
9. წაიკითხეთ ჩვენი ძვირფასი შუამავლის გამოსათხოვებელი მიმართვა (ვედა ხუთბე) და მონახეთ მასში ზნეობრივი დარიგებები.
10. როგორ აუხსნით მეგობარს კარგი ზნეობის სარგებლიანობას?
11. რელიგიის კულტურისა და ზნეობის შესახებ არსებული წიგნებიდან ან ქვემოთ დასახელებული დიანეთის საქმეთა სამმართველოს გამომცემლობის წიგნებიდან ზნეობის შესახებ შემდეგი თავები წაიკითხეთ:

ა.ისლამის ზნეობა და სულიერი მოვალეობები: იბრაჰიმ აგაჰ ჩუბუქჯუ.

ბ.სიკეთის გასამრჯელო: ზარიფე ჯანანი

გ. აიათების და ჰადისების <u>ფონე</u> სიყვარული და მეგობრობა: ისმაილ კარაგოზი. 103*

სიცოცხლის გამოძახილი

ერთი კაცი შვილთან ერთად სეირნობდა. ბავშვმა უცაბედად წაიბორძიკა და მიწაზე დაეცა.„აჰ!“ დაიყვირა ბავშვმა. მათ მოპირდაპირე მთის მწვერვალიდან „აჰ!“ მოესმათ. ბავშვმა ცნობისმოყვარეობით ჰკითხა: „შენ ვინა ხარ?“ შენ ვინა ხარ? “ მოესმა პასუხად. ამჯერად უკვე გაბრაზებულმა დაიყვირა: „შენ ერთი მშიშარა ხარ! “ „ შენ ერთი მშიშარა ხარ! “ მოვიდა ხმა მთიდან. ბავშვი მამას მიუბრუნდა: „რა ხდება მამა? “ მამამისი მთისკენ შებრუნდა და შესძახა: „შენით აღფრთოვანებული ვარ.“ „შენით აღფრთოვანებული ვარ “ იყო პასუხი. მამამ კიდევ შესძახა: „შენ დიდებული ხარ.“ „შენ დიდებული ხარ“ იყო პასუხი. ბავშვს ძალიან გაუკვირდა, მაგრამ რა ხდებოდა ვერ მიმხვდარიყო. მამამისმა აუხსნა: „ამას გამოძახილი, ექო ჰქვია. სინამდვილეში ეს ცხოვრებაა. ცხოვრება მუდამ მასზე მიცემულებს უკან დაგიბრუნებს.“

104*

ადამიანები ერთმანეთის სარკენი არიან. ჩვენი ცხოვრების და ურთიერთობების სტილის განმსაზღვრელი ერთმანეთის მიმართ ჩვენი დამოკიდებულებებია. როგორც გვინდა, რომ ჩვენ მოგვექცნენ, ისე მოვექცეთ სხვას. რაც გვინდა რომ ვიხილოთ, ჩვენც ის უნდა ვუძღვნათ სხვას: თუ სიყვარულს ველოდებით, სიყვარული, თუ სინაზე გვინდა, სინაზე, თუ პატივისცემას მოველით, პატივისცემა... რაც არ გვინდა რომ შეგვემთხვეს, იმას ნუ გავაკეთებთ. იმისათვის რომ მტრობას არ გადავეყაროთ მტრობას ნუ გავაკეთებთ, თუ გვინდა რომ ეგოისტობას არ გადავეყაროთ, ეგოისტობა არ უნდა გავაკეთოთ. იმისათვის, რომ უსამართლობაში არ მოვხვდეთ, უსამართლობა არ უნდა გავაკეთოთ.

105*

ოქროს წესი:

როგორც შენ გინდა, რომ მოგექცნენ, შენც ისე მოექეცი.

*106**

საყვარელი შუამავალი ასე ბრძანებს: *„თუ რომელიმე თქვენგანი ძმისთვისაც არ ისურვებს იმას, რაც თავისთვის სურს, ნამდვილი მორწმუნე არა.“ (წმინდა ჰადისი) 107**

1. ისლამი ლამაზი ზნეობაა

ვინც ალლაჰისკენ პირს იბრუნებს, (დაემორჩილება მას) და კეთილის ქმნელია, ის ჩაჭიდებულია მტკიცე ნასკვს. და საქმეთა საბოლოო (შედეგი) ალლაჰისკენაა (მიმართული) (სურა ლოყმანი, აიათი 22) 109*

კარგი ზნეობა არის, სწორი წესების ადამიანის ქცევაში ასახვა და ჩვევად ქცევა. ისლამის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი ისაა, რომ ადამიანი იყოს კარგი ზნეობით ჩამოყალიბებული. ძვირფასი მუჰამმედ შუამავალი ბრძანებს: „მე კარგი ზნეობის სურულსაყოფად ვარ გამოგზავნილი.“ (წმინდა ჰადისი)

მუსლიმანი ადამიანის ფასი, მისი ზნეობის სილამაზით იზომება. როცა ჰკითხეს ძვირფას მუჰამმედ შუამავალს: „ვინ არიან ალლაჰისათვის ყველაზე საყვარელი ადამიანები?“ შუამავალმა უპასუხა: „ვინც ყველაზე საუკეთესო ზნეობის მქონენი არიან.“ (წმინდა ჰადისი)

ისლამი, რწმენისა და ღვთისმსახურების საფუძველზე ადამიანების ცუდი თვისებებისა და ჩვევებისგან თავის დაღწევას და კარგი ზნეობის მიღებას ისახავს მიზნად. წინა თავებში ალლაზე, მის ანგელოზებზე, მის წიგნებზე, მის შუამავლებზე, საიქიოზე, ბედისწერასა და განგებაზე, მორწმუნე, მლოცველ, მარხვის შემსრულებელ, ჰაჯობაზე წამსვლელ და ზექათის გადამხდელ ადამიანთა მიერ შეძენილ ლამაზ თვისებებზე გავამახვილეთ ყურადღება. ამასთან ერთად ადამიანის რწმენისა და ღვთისმსახურების ხარისხიც ზნეობის სილამაზესთანაა დაკავშირებული. ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების გზაც კარგ ზნეობაზეა დამოკიდებული.

ისე, როგორც რწმენისა და ღვთისმსახურების საფუძვლები, ყურანიდან და ძვირფასი შუამავლის სუნნეთებისაგან ვისწავლეთ, თუ რა არის კარგი, ლამაზი და სასარგებლო და ამსთანავე რა არის ცუდი, არასწორი და საზიანო. იმისათვის რომ კარგი ზნეობისანი ვიყოთ, ღმერთის ბრძანებებს უნდა დავემორჩილოთ, აკრძალულებს უნდა მოვერიდოთ. ეს ბრძანებები და აკრძალვები ერთმანეთთან კავშირშია.

ლამაზი ჩვევა, რომელიც ჩვენ გვახასიათებს, თავისთან ერთად სხვა კარგ თვისებებს შეგვძენს, ცუდი ჩვევებისაგან განშორებასა და თავის დაღწევას უზრუნველყოფს. ადამიანი, რომელიც ცდილობს, იყოს სამართლიანი, სხვისი უფლებების მიმართაც პატივისცემით მოიქცევა. დედ-მამას, ამხანაგებს, ნათესავებს, მასზე უმცროსებსა და უფროსებს, ალლაჰის გაჩენილ ყველაფერს პატივისცემით მოეპყრობა. ალლაჰის მიმართ პატივისცემის გრძნობა მას პასუხისმგებლობებს შეახსენებს.

110*

ფრთამოტეხილი ჩიტისადმი, ქუჩაში მტირალი ბავშვისადმი, უმწეოსადმი და დახმარების მთხოვნელებისადმი პასუხისმგებლობას იგრძნობს. ეგოისტობას დათმობს და თავგამოდებით დაიწყებს მოქმედებას. მის ირგვლივ სიბრალულითა და ოპტიმისტურად გაიხედავს და ბოძებული სიკეთეებისთვის ალლაჰსისადმი მადლიერებას გამოთქვამს. ეს მადლობა მის რწმენას გააძლიერებს, რწმენა კი გამბედაობას....

უსამართლობისა და შეუბრალებლობის წინააღმდეგ მამაცად იბრძოლებს, ამ ბრძოლისას სიმტკიცე და მოთმინება მოემატება. მოთმინება მას შუღლიანობისაგან დაიცავს. სიგლახეზე სიკეთით წინ აღდგომას ისწავლის. ამხანაგს, რომელიც მიცემულ სიტყვას არ ასრულებს, მიცემული სიტყვის შესრულებით თვითონ მაგალითს მისცემს.

სიტყვის შესრულებით პატივისცემას დაიმსახურებს, ერთგულ მეგობრობას დაამყარებს. მეგობრობა მას შურიანობისაგან დაიცავს, ის საზოგადოებას და კოლეგებს ერთგულებას აჩვენებს. იცის ამაგის ფასი, არავის და არაფერს არ დაამცირებს. მიხვდება, რომ ალლაჰის მიერ ყველა გაჩენილში სილამაზე არსებობს. ცხოვრებას კეთილი თვალით შეხედავს და ბედნიერი იქნება. ამხანაგებს ბედნიერებით მიესალმება, მის ბედნიერებას გარშემომყოფთ გაუზიარებს.

111*

ძვირფასი მუჰამმედ შუამავალი ბრძანებს: *„ის, ვინც პატარებს სიყვარულით და სინაზით არ მოეპყრობა და უფროსების ფასი არ იცის, ჩვენთაგანი არაა.“* (წმინდა ჰადისი)

112*

2. ძვირფასი მუჰამმედ შუამავალი, როგორც ზნეობის წყარო 113*

ვფიცავ, ალლაჰის შუამავალში არის მაგალითი თქვენთვის, იმისთვის, ვინც მოელის ალლაჰსა (წინაშე წარდგომასა) და უკანასქნელ დღეს. და ახსენებს ალლაჰს გამუდმებით. (სურა აჰზაბი,აიათი 21)

114*

ძვირფასი მუჰამმედ შუამავალი, როცა ალლაჰის წერილების ადამიანებზე გადაცემის მოვალეობას ასრულებდა, ამავდროულად ამ წერილთა მოთხოვნების ყველაზე საუკეთესოდ შემსრულებელი უპირველესად თვითონ იყო. მისი ცხოვრება ყველაზე საუკეთესო სახელმძღვანელოა ჩვენთვის იმის მხრივ, თუ როგორ უნდა ვიქცეოდეთ. როგორ გამოუვალ მდგომარეობაშიც არ უნდა აღმოვჩნდეთ, რომელშიც ჩვენ აღმოვჩნდებით, შეგვიძლია ძვირფასი მუჰამმედ შუამავლის ცხოვრებას გადავავლოთ თვალი, მაგალითი ავიღოთ და მას მივბაძოთ. 115*

რა მდგომარეობაში როგორ იქცეოდა ის? როდესაც მის ცხოვრებას შეისწავლით, აღმოაჩენთ უამრავ მაგალითს იმისას, თუ როგორ იქცეოდა შესაბამის მდგომარეობაში, რაც სწორი გზის მაჩვენებელი იქნება თქვენთვის. აი, რამდენიმე მაგალითი თქვენს ცხოვრებაში მოსალოდნელი მდგომარეობებისა, თუ როგორ მაგალითს გვაძლევს ძვირფასი შუამავალი:

... როცა მდიდარი და ქონების პატრონი ხარ, გაიხსენე ძვირფასი მუჰამმედ შუამავლის გულუხვობა, როცა მას ქარავნები დაჰყავდა და ვაჭრობდა.

... როცა ღარიბი და უქონელი ხარ, იფიქრე იმ მოთმინების შესახებ, როცა ძვირფასმა შუამავალმა სამშობლო, ქონება, ყველაფერი, რაც გააჩნდა, მიატოვა და მექადან მედინეში გადასახლდა.

...კლასის ორგანიზატორობისას გაიხსენე ძვირფასი მუჰამმედ შუამავლის სამართლიანი მოქცევა თავისი დროის მაღალი წრის საზოგადოების მიმართ, როცა ისინი მას დაემორჩილნენ.

...როცა თავს სუსტად და მარტოდ გრძნობ, წარმოიდგინე ძვირფას მუჰამმედ შუამავლზე მექაში თავსდატეხილი გაჭირვება და წვალება.

...რაიმე საქმეში გამარჯვებისას, მაგალითი აიღე, ბედირში, ჰუნეინსა და მექაში მტრებზე ბრწყინვალედ გამარჯვებისას ძვირფასი მუჰამმედ შუამავლის მოქმედებისაგან.

...დამარცხებისას იფიქრე ძვირფასი მუჰამმედ შუამავლის მოქმედებაზე, როცა ის უჰუდის ბრძოლაში დაღუპულ (შეჰიდ) და დაჭრილ თავის მეგობრებს შორის დამწუხრებული დადიოდა, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავდა.

...თუ ვინმეს ასწავლი, გაიხსენე თუ როგორ ასწავლიდა სამლოცველოში ამხანაგებს ძვირფასი მუჰამმედ შუამავალი.

...თუ კი ვინმესგან რაიმეს სწავლობ, იფიქრე იმის შესახებ, თუ როგორ სწავლობდა ძვირფასი მუჰამმედ შუამავალი ღვთიურ მცნებებს ჯებრაილის წინაშე დაჩოქილი.

...ყოველგვარი დამხმარეს გარეშე თუ გინდა რომ სიკეთისათვის იბრძოლო და სამართალი განახორციელო, გაიხსენე დრო, როდესაც ძვირფასი მუჰამმედ შუამავალი მექაში სუსტი იყო, მაგრამ სამართალსა და ჭეშმარიტებას მაინც ხმამაღლა აცხადებდა.

...თუ კი მოსამართლე, ან რაიმე თამაშში მსაჯი ხარ, იფიქრე იმაზე, როცა ისლამის მოსვლამდე ჰაჯერულესვედის (შავი ქვის) თავის ადგილზე დადების გულისათვის ჩხუბამდე მისულმა ყურეიშის ლიდერები რატომ დათანხმდნენ ძვირფასი მუჰამმედ შუამავლის მოსამართლეობას და მან როგორი გადაწყვეტილება მიიღო.

116*

ამხანაგებთან ერთად იფიქრეთ მუსლიმანი ადამიანის თავისთავისა და ოჯახის წინაშე არსებული მოვალეობების შესახებ. ყველამ ანბანის რიგს მიაყოლოს თვალი და მასზე მოწეული ასოთი დაწყებული წინადადება შეადგინოს.

მაგალითად:

(ა) ალლაჰისადმი ღვთისმსახურება მუსლიმანის მოვალეობაა.

(ბ) ბავშვებმა უნდა დაუჯერონ მშობლებს და შეისწავლონ, რა ევალება მუსლიმანს.

(გ) გაჭირვებულთა დახმარება მუსლიმანის მოვალეობაა.

ვინც სათანადო წინადადებას ვერ შეადგენს, თამაშიდან გავა.

117*

კარი მეორე 118*

3. ჩვენი თავისა და ჩვენი ოჯახის წინაშე არსებული მოვალეობები

„შენმა ღმერთმა ბრძანა, რომ არ ეთაყვანოთ სხვას, გარდა მისისა, და კეთილად მოექეცით მშობლებს (დედ–მამას). თუ მოხუცდება შენთან, ერთი მათგანი ან ორთავენი, არ უთხრა მათ „უჰ“–იც კი, და არც დატუქსო ისინი, და ტკბილი სიტყვა უთხარი მათ. გადააფარე მათ (ორთავეს) თავაზიანობის ფრთა სიბრალულით და თქვი: ღმერთო ჩემო, შეიწყალე ისინი (ორთავენი), როგორც აღმზარდეს (მათ) მე პატარაობისას.“ (სურა ისრა, აიათი 23-24) 119*

ჩვენ, რომლებსაც გვწამს, რომ ალლაჰი ყოველთვის ყველაფერს ხედავს, ფარული თუ ღია, ყველა ჩვენი მოქმედება ცნობილია მისთვის, ჩვენს ქცევებს ამის მიხედვით ვანხორციელებთ. ეს რწმენა ადამიანს მისი საქმიანობის შედეგებს ათვალისწინებინებს და თავის მოვალეობაში შემავალი საქმეების სრულფასოვნად შესრულებისაკენ მომართავს. ამას პასუხისმგებლობა ჰქვია. პასუხისმგებლობა გვაკისრია, როგორც ალლაჰის, ადამიანებისა და ყველა სხვა გაჩენილთა მიმართ, ასევე ჩვენი საკუთარი თავისა და ჩვენივე ოჯახის მიმართ. ადამიანმა სხვის წინაშე აღებული პასუხისმგებლობები რომ შეასრულოს, ამისათვის ჯერ თავისთავის წინაშე არსებული პასუხიმგებლობები უნდა შეასრულოს.

120*

„მაშ დაადექ სწორ გზას (იყავ მართალი), ისე როგორც (შენ) გებრძანა! “ (სურა ჰუდი, აიათი 112)
121*

„არ ჩააგდოთ საკუთარი თავი საკუთარი ხელებით საფრთხეში.“ (სურა ფური-ბაყარა, აიათი 195) 122*

ძვირფასი მუჰამმედ შუამავალი ბრძანებს: „ყველა ბავშვი მუსლიმნად იბადება.“ ჩვენს ბუნებაში მყოფი თანდაყოლილი სამართლიანობისა და სისპეტაკის დაცვა ჩვენი საკუთარი თავის მიმართ ერთ–ერთი უმთავრესი მოვალეობათაგანია. რწმენა ადამიანის ყველაზე ძირითადი მოთხოვნილებაა. ადამიანი მხოლოდ რწმენით ჰპოვებს სიმშვიდეს. სინდისი მხოლოდ კარგი და ლამაზი ქცევებით იგრძნობს შვებას.

ადამიანის ჭკუისა და გონების მოთხოვნილება ცოდნაა. თუ კი ცოდნა რწმენაში გაერთიანდება, ადამიანი ყოველგვარი სიბინძურისა და სიგლახისაგან დაცული იქნება.

ცოდნის მიღების უნარი ადამიანისათვის ნაბოძები ძალიან მნიშვნელოვანი სიკეთეა. ადამიანი, რომელიც ამ უნარს არ გამოიყენებს, თავის ჭკუასა და გონებას უსამართლოდ ექცევა და ალლაჰის მიერ ბოძებული ამ სიკეთისთვის მადლიერებას არ გამოთქვამს.

ადამიანი, თუ კი მცოდნე და მორწმუნეა, ღვთისმსახურებების შესრულების აუცილებლობას იგრძნობს. ღვთისმსახურებები, ისე როგორც ალლაჰის მიმართ პატივისცემა, პიროვნების ამქვეყნიური და საიქიოს ბედნიერების პირობაა. ამქვეყნისა და საიქიოს ბედნიერების მსურველი ადამიანისათვის, თავისთავის წინაშე არსებულ მოვალეობათაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ღვთისმსახურების შესრულებაა.

ადამიანმა, რომ ყველა ეს მოვალეობა შეასრულოს, ამისათვის ფიზიკურ ჯამრთელობას უნდა გაუფრთხილდეს. ჩვენი სხეული და ჯანმრთელობა ალლაჰის ჩვენზე მოცემული ანაბარია. ყველანი ამ ანაბარის დაცვის მოვალენი ვართ. ჩვენი ძვირფასი შუამავალი ბრძანებს: *„შენი სხეულის წინაშე პასუხი უნდა აგო.“* (წმინდა ჰადისი)

ადამიანმა პირველად ყველაზე ახლობლების წინაშე არსებული მოვალეობები უნდა შეასრულოს. ამ ახლობელთაგან ყველაზე პირველი დედ–მამა არიან. დედ–მამას სიტყვითა და მოქმედებებით არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვაწყინოთ, მათ მომღიმარი სახით და ტკბილი ენით უნდა მოვეფეროთ, მათი სურვილისამებრ მოქმედება ჩვენს მოვალეობებს შორისაა.
123*

„ალლაჰისთვის ყველაზე საყვარელი მოქმედება თავის დროზე ლოცვა და დედ– მამაზე სიკეთის გაკეთებაა.“ (წმინდა ჰადისი) 124*

თავისთავისა და ოჯახის წინაშე არსებული ზნეობრივი მოვალეობების მცოდნე მუსლიმანი...

...საქმეს, რომელსაც აკეთებს, ცდილობს, რომ კარგად გააკეთოს, რადგანაც იცის, რომ ალლაჰსა და თავის სინდისზე ანგარიშის გაწევა აუცილებელია.

...იმისათვის ირჯება, რომ, რაც მას ასწავლეს, კარგად დაისწავლოს, ცოდნის ამაღლებას ცდილობს.

...არამარტო სხვების წინაშე, არამედ თავისთავის წინაშეც სამართლიანია.

...თუ კი კეთილდღეობასა და სიუხვეს მიაღწევს, ღმერთს მადლობას შესწირავს, თუ გაჭირვებასა და ხელმოკლეობაში ჩავარდა, არ შეშინდება. იცის რომ, რასაც უნდა გადაეყაროს, ყველაფერში მისთვის სიკეთე და სილამაზე არსებობს.

...იცის, რომ, რაც მის შესაძლებლობას აღემატება, იმაზე პასუხისმგებელი არაა. მის შესაძლებლობებზე აღმატებული საქმეების შეუსრულებლობის გამო წუხილი არა აქვს, რადგან

„ალლაჰი არავის აკისრებს იმას, რაც მის (ადამიანის) ძალას აღემატება“ (სურა ბაყარა–ფური. 286)

…იცის, რომ კარგი თუ ცუდი ყველა მოქმედებისათვის სამაგიეროს მიიღებს, ოჯახში მის პასუხისმგებლობაში არსებული მოვალეობების სხვაზე დაკისრებას არ ცდილობს.

...ეგოისტობას განშორდება, ოჯახის წევრების მიმართ მისი სიყვარული და სიახლოვე მოიმატებს, იცის, რომ ეს მის დამოკიდებულებებში დადებით წვლილს შეიტანს.

...ძვირფასი მუჰამმედ შუამავლის ცხოვრებიდან აიღებს მაგალითს. თავის ოჯახსა და ნათესავებს შორის ურთიერთობებს მის მოქმედებებს შეუსაბამებს.

...პრობლემების წინაშე სუსტი არაა, ცდილობს, რომ მოაგვაროს.

...იცის, რომ უვიცად მოქმედება გამბედაობა კი არა, წინდაუხედაობა და უცოდინარობაა.

...ცდილობს, რომ ყოველთვის სწორად მოიქცეს.
125*

თქვენი თავი თქვენს საოცნებო პროფესიის ადამიანად წარმოიდგინეთ.
ექიმი, ინჟინერი, მასწავლებელი, მუფთი, მფრინავი, არქიტექტორი...
ჩამოაყალიბეთ, თუ რას უნდა მიაქციოთ ყურადღება სამსახუროებრივი მოვალეობის შესრულებისას. *126**

იმსჯელეთ ქვემოთ მოცემული საკითხების შესახებ

● იფიქრეთ ჩვენი სხეულის ორგანოების მოვალეობების შესახებ. რა მოხდება, თუ კი ჩვენს ორგანოთაგან ერთ–ერთი თავის ფუნქციას არ შეასრულებს?

*● რა არის ოჯახის წევრთა მოვალეობები? რა მოხდება, თუკი ოჯახის წევრები მოვალეობებს არ შეასრულებენ? 127**

...არასოდეს უთავბოლოდ არ დახარჯავს, სიძუნწისაგან შორს დგას.

...უფროსებისა და პატარების წინაშე ლმობიერად, მოთმინებით და პატივისცემით იქცევა.

...უარყოფითი სიტუაციების წინაშე წამიერი რეაქციებისგან დაცულია. საქმეს აუჩქარებლად, აუღელვებლად, სიმშვიდის დაცვით მიუდგება. ურყევად და მტკიცე ნებისყოფით მოქმედებს.

... თავის ცხოვრებას ალლაჰისმიერი წესების მიხედვით მოიწყობს და ბოლომდე უშიშრად და ყურადღებით შეუტევს სიძნელეებს.

...არ შეშურდება თავისი ძმებისა ან სხვებისა, ყველას მიმართ სულგრძელია.

...მის ყველა მოქმედებასა და სიტყვაში ერთგულება იგრძნობა.

128*

ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი ქცევის ნიმუში. კარგი მუსლიმანისათვის მისაღებ მოქმედებას **ს** (სწორი), მიუღებელ მოქმედებას **ა** (არასწორი) ბგერა დაუსვით.

( ) არ იქურდებს.
( ) სიტყვას არ შეინახავს, ჭორიკანაა.
( ) არ ყომარობს.
( ) ეგოისტია, ყოველთვის თავისთავზე ფიქრობს.
( ) გაჭირვებულებს ეხმარება.
( ) სხვის ქონებას უნებართოდ აიღებს.
( ) თავის გამოსარჩენს უყურებს, სხვისას მნიშვნელობას არ ანიჭებს.
( ) ისეთ სასმელებს არ იყენებს, რომელიც მას ზიანს მიაყენებს.
( ) მასზე მიბარებულ, დატოვებულ ქონებას არ უპატრონებს.
( ) პიროვნების უფლებას უფრთხილდება, ვინმეს უსამართლოდ არ ექცევა.
( ) ჰარამს არ შეჭამს, ჰალალ მოგებას ეძებს.
( ) სიტყვას არ შეასრულებს.
( ) ზომასა და წონაში მოატყუებს.
( ) ობოლსა და გაჭირვებულს დაიცავს.
( ) აჩქარებული და მოუთმენელია.
( ) მოპირდაპირეს მოატყუებს.
( ) არ იმრუშებს.
( ) მომღიმარია, ვინმეს არ ეურჩება.
( ) ქრთამს აიღებს და მისცემს.
( ) ვალის დროულად გადამხდელი არაა.
( ) გაკეთებულ სიკეთეს დააყვედრის.
( ) ყველაფრის მიმართ ჰუმანური და მოწყალეა.
( ) ტყუილს არ იტყვის. 129*

კარი მესამე
130*

მოვალეობები ჩვენი გარემოსა და კაცობრიობის წინაშე

„ჰეი, მორწმუნენო! იყავით ალლაჰთან (მართლ) შეუვალნი სიმართლისათვის–მოწმეობაში. და არ გიბიძგოთ (თქვენ) რა გინდა რა ხალხის მძულვარებამ რომ (მო)იქცეთ უსამართლო(ებად). იყავით სამართლიანნი! ეს უფრო ახლოა ღვთისმოშიშობასთან და გეშინოდეთ ალლაჰისა(გან), უეჭველად ალლაჰი მცნობიერია, რასაც სჩადიხართ.“ (სურა სუფრა–მაიდე. აიათი 8) 131*

ისლამის ზნეობა ყველა ადამიანის ძირითად უფლებებზე პატივისცემას მოითხოვს.

ყველა ადამიანს, ქონების ალალი გზით შოვნის, ინდივიდუალობის წინაშე პატივის მიგების, სხვა ადამიანებთან ტოლად შეფასების, პირად საქმეებში ჩაურევლობის. ჭამა–სმა–დაბინავებისა და მსგავსი ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უფლებები გააჩნია. 132*

ჩვენს ძვირფას შუამავალს შეეკითხნენ: „ყველაზე ხეირიანი ადამიანი ვინაა?“ შუამავალმა უპასუხა: „ადამიანი, რომელსაც საზოგადოებისათვის ყველაზე მეტი სიკეთე მოაქვს“ (წმინდა ჰადისი) 133*

მუსლიმანები ყველა აღმსარებლობის ადამიანთა უფლებებს პატივისცემით ეპყრობიან. უფრო მეტიც, მათ ძმებად მიიჩნევენ და თავს მოვალედ თვლიან მხარში ამოუდგნენ გაჭირვებაში და დაეხმარონ სიძნელეების გადალახვაში. გასაჭირში ჩავარდნილის პრობლემას მონდომებით, გულითადობითა და დაუზარებლად მოგვარებას ცდილობენ. ვინც ბოროტებას გაუკეთებს, იმათ მიმართ მპატიებელნი არიან, სიძულვილს არ ატარებენ. იმისათვის, რომ იგივე სიგლახე მეორედ არ მოუვიდეთ. თადარიგით და ყურადღებით იქცევიან. 134*

„(ურწმუნოები მათი ჭკუით) ისინი ალლაჰსა და ჭეშმარიტ მორწმუნეებს ატყუებენ.. არადა, ვერავის ატყუებენ გარდა საკუთარი თავისა და ვერც კი ხვდებიან.“ (სურა ბაყარა–ფური, აიათი 9)

ახსენით, რას ნიშნავს „თავის მოტყუება.“
135*

ახსენით, რას ნიშნავს „ხალასი სიტყვა და გულწრფელობა“?
136*

„ჰეი, მორწმუნენო! ეძიეთ დახმარება (ალლჰისა) მოთმინებაში და ლოცვაში. უეჭველად, ალლაჰი მომთმენებთანაა.“ (სურა ბაყარა–ფური. აიათი 153).

მუსლიმანები ყოველთვის განსაკუთრებული ზრდილობით იქცევიან. როცა ვინმეს შეხვდებიან, მიესალმებიან, ლამაზი სიტყვებით მიმართავენ. როცა გაჭირვებაში მყოფ ვინმეს ნახავენ, მისი დახმარებისათვის სხვას არ ელოდებიან, თვითონ ეხმარებიან. გარშემო დადებითი ცვლილებების გატარების ენერგიას თავიანთ თავში პოულობენ. ღირსებებზე, ფასეულობებზე და უფლებებზე თუ იქნა შემოტევა, ბოლომდე იბრძოლებენ. ვის მიმართაც არ უნდა იყოს, უსამართლობას არ შეეგუებიან. უსამართლობაში ჩავარდნილთა უფლებებს იცავენ. იციან, რომ მონაგები ჰალალი გზით უნდა იშოვონ, არ ივიწყებენ ძვირფასი მუჰამმედ შუამავალის სიტყვებს *„ვინც ვაჭრობაში სიმართლეს არ გადაუხვევს, განკითხვის დღეს შუამავლებთან ერთად იქნება.“* (წმინდა ჰადისი). ისისნი, მდიდარსა და ღარიბს, ძლიერსა და სუსტს, განურჩევლად ყველას ერთნაირად ეპყრობიან. მათ სჯერათ, რომ ძლიერი კი არ არის მართალი, არამედ მართალია ძლიერი. იცის, რომ, ის რაც მის საკუთრებაშია, ალლაჰის მიერ მასზე მიბარებული ანაბრებია. ადამიანი, რომელსაც ისინი დაეხმარნენ, მათ წინაშე დავალებულად არ თვლიან.
137*

„ჰეი მორწმუნენო! არ შეხვიდეთ თქვენი სახლების გარდა სხვა სახლებში, ვიდრე ნებას არ აიღებთ (არ გააფრთხილებთ) და არ მიესალმებით მათ (იმ სახლების) წევრებს. ეს უკეთესია თქვენთვის. იმედია დაუფიქრდებით.“(სურა ნური–სინათლე, აიათი 27.)
138*

ადამიანი, რომელმაც იცის გარემოსა და ყველა ადამიანის წინაშე მოვალეობები...

...იცის, რომ მარტო თავისთვის არ ცხოვრობს, და ეცდება რაც შეეძლება სიკეთე აკეთოს ადამიანებისთვის.
...ამხანაგობასა და მეგობრობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ამხანაგების ერთგულია.
139*

„ვაი ზურგსუკან მოლაპარაკეებსა და თვალწარბის მოქმედებით სხვის მასხრად ამგდებებს. რომლებიც ქონებას აგროვებენ და გამუდმებით ითვლიან მას.“ (სურა–ჰუმეზე, აიათი1–2) 140*

...რა საიდუმლოებასაც გაანდობენ, შეინახავს. სხვისი ცხოვრების მიმართ პატივისცემითაა განწყობილი.

...ზურგს უკან ვინმეს ცუდად არ ახსენებს. არც და ცუდს გაიფიქრებს.

...სხვას არ გასცინებს. იცის, რომ მის წინაშე მყოფიც მისნაირი ადამიანია და ამის მიხედვით მოქმედებს.

...გაბრაზებისას ბრაზის დაოკება შეუძლია, ცდილობს ისე იმოქმედოს, რომ ბოლოს არ ინანოს.

... უფროსსა და უმცროსს, განურჩევლად ყველას თავაზიანად ეპყრობა.

...ზექათის, ფითრის და მსგავსი მატერიალური ვალდებულებების შესრულებით არ იფარგლება, იცის, რომ ღიმილიც კი ერთ–ერთი დახმარება და გაზიარებაა.

...იცის, რომ ნამდვილი დახმარება მხოლოდ კეთილი საქმეებით შეიძლება. ეცდება ცუდი საქმეების ჩამდენები ჩამოაშოროს ამ საქმიანობას.

...მისგან დახმარების მთხოვნელ ადამიანს **–„ფრთხილად, მთხოვნელებს არ გაუწყრე!“** (სურა დუჰა, აიათი. 10.) აიათის მიხედვით მოიქცევა და მათ ცუდად არასდროს მიმართავს.

…იცის, რომ გაცემით მას არაფერი მოაკლდება და სჯერა, რომ მისი ქონების ბარაქა გაზიარების შემთხვევაში მოიმატებს.
...როცა ვინმეზე დახმარება უნდა **–„ვერ მისწვდებით სიკეთეს, ვიდრემდის არ იმწყალობებთ იმათთაგან, რაც გიყვართ (და გეძვირფასებათ), ხოლო, რასაც რაიმესაგან იმოწყალობლებთ, უეჭველად, ალლაჰმა უწყის ის.** (სურა ალი იმრანი აიათი 92) აიათებს გაიხსენებს. იმ ქონებას კი არ გასცემს, რაც არ მოსწონს და გადაგდება უნდა, არამედ ლამაზი რამეებიდან გასცემს.
... დახმარებას მხიარული სახით გასწევს (გააკეთებს), არ დააყვედრის.
...დახმარებას სხვისი ჩვენების მიზნით არ აკეთებს. ისე მოიქცევა, რომ მარჯვენა ხელით მიცემულს, მარცხენა ხელი ვერ ხედავდეს. 141*

„ჰეი, მორწმუნენო! არ ჭამოთ ქონება თქვენი თქვენ შუა უმართლოდ, გარეშე (იმისა), თუ იქნება (თქვენში) ვაჭრობა–გარიგება თქვენივე ურთიერთთანხმობით. და არ მოჰკლათ სულები თქვენი. უეჭველად, ალლაჰია თქვენი შემწყნარებელი.“ (სურა ნისა, აიათი 29.) **142***

უეჭველად, ისინი, რომლებმაც თქვეს ჩვენი ღმერთი ალლაჰია, შემდეგ სპეტაკი ცხოვრებით ცხოვრობენ, (საიქიოში) არ იქნება მათთვის შიში და არც დამწუხრდებიან.

აი, ისინი არიან სამოთხის მკვიდრნი, სადაც სამუდამოდ დარჩებიან, საზღაურად იმისა, რასაც ქმედებდნენ. (სურა აჰქაფი. აიათი 13-14) 143*

...მის ქვეშევრდომებს და ერთად მომუშავე ადამიანებს სამართლიანად და სიბრალულით ექცევა.

...იმისათვის, რომ ვინმეს მიმართ უსამართლოდ არ მოიქცეს, ყურადღებით მოქმედებს.

...ობიექტურია, უსამართლო მისი ახლობელიც რომ იყოს, ის სამართლიანის მხარეზე დადგება.

...იცის, რომ ალლაჰი სამართლიანია და მას ენდობა.

...ვინმეს არ შეაცდენს. ჩვენი ძვირფასი შუამავალი ბრძანებს: „**მომტყუებელი ან დამზარალებელი ან ცბიერი ჩვენთაგანი არაა.**“ (წმინდა ჰადისი).

... ყოველთვის სიტყვის პატრონია. არავითარ შემთხვევაში არ ტყუის.

... როცა მეზობელი უვახშმოდაა, თვითონ მაძღარი არ დაწვება.
...ავადმყოფებს მოინახულებს.
...ობლებს იცავს და ყურადღებას აქცევს. 144*

კითხვები შეფასებისათვის:

1. თუ გადაეყარეთ ისეთ შემთხვევას, როცა პასუხისმგებლობას ყველა სხვაზე აგდებს? რა სახის პრობლემები მოყვა ამას?

2. თუ არიან თქვენს ირგვლივ ისეთი პიროვნებები, რომლებიც პიროვნულსა თუ საზოგადოებრივ პასუხისმგებლობებს ისე ასრულებენ არც კი დასცდებათ: „მე რა მენაღვლება, სხვებმა იდარდონო“. იმსჯელეთ ამხანაგებთან ამ ადამიანების მიერ საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის თაობაზე. 145*

ნებისმიერ ვინმეზე მოხმობა

ნოველა ეხება ოთხ პიროვნებას; *ყველა, ერთი მათგანი, ნებისმიერი* და *არავინ*.

მნიშვნელოვანი საქმე უნდა გაკეთებულიყო და *ყველას* სჯეროდა, რომ ამ საქმეს *ერთი მათგანი* გააკეთებდა. სინამდვილეში ამ საქმის გაკეთება *ნებისმიერს*აც შეეძლო, მაგრამ *არავინ* არ გააკეთა. ამის გამო *ერთი მათგანი* ძალიან გაბრაზდა, რადგანაც საქმე *ყველასი* იყო. *ყველა* ფიქრობდა, რომ ამ საქმის გაკეთება *ნებისმიერს* შეეძლო, მაგრამ *ვინმე* ვერ ხვდებოდა, რომ *ყველა* ამას ვერ გააკეთებდა. საქმე, რომლის გაკეთება *ნებისმიერს* შეეძლო, როცა *არავინ* არ გააკეთა, ბოლოს *ყველამ ერთი მათგანი* დაადანაშაულა. 146*

წმინდა ომარის სამართალი

წმინდა ომარი თავისი ხალიფობის პერიოდში ერთ საღამოს თავის ოთახში მუშაობდა. ამ დროს სტუმარი ეწვია. ომარმა სტუმარი თავაზიანად მიიღო და გამართა მასთან მუსაიფი. წმინდა ომარი მაშინვე წამოდგა და სანთელი ჩააქრო, მის ნაცვლად სხვა სანთელი აანთო. სტუმარი გაოცებული უყურებდა წმინდა ომარს. ვერაფერი გაეგო. ბოლოს ვეღარ მოითმინა და ჰკითხა:

„ესეც სანთელია და ის, მეორეც სანთელი იყო. ორივე ერთნაირად ანათებს. ერთი რატომ ჩააქრე და მეორე აანთე?“

წმინდა <u>ომერმა</u> ასე უპასუხა:

„სანთელი, რომელიც ჩავაქრე, ხალხის ფულითაა ნაყიდი. როცა პირად სამუშაოს ვასრულებ, ამხანაგებს ვესაუბრები, იმ სანთლის სარგებლობის უფლება არა მაქვს. ის სანთელი ამიტომ ჩავაქრე და ჩემი ფულით ნაყიდი ავანთე.“

1. ტექსტის მიხედვით სამართლიანობა რა მოქმედებაშია გამოხატული?
2. პატარა უყურადღებობის გამო თუ შეგმთხვევიათ ისეთი რამ, რომელიც უსამართლობას შეუწყობს ხელს? დაასახელეთ მაგალითი.
3. ამ ტექსტის მიხედვით შეეცადეთ განსაჯოთ სახელმწიფო მოღვაწის პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე.

147*

როგორ იმოქმედებს ურთიერთდახმარება საზოგადოებრივ ურთიერთობებზე? ამხანაგებთან იმსჯელეთ.

148*

როგორ წააქეზებთ გარშემომყოფთ, იმისათვის რომ იყვნენ ურთიერთდახმარების მოსურნენი? ამხანაგებთან იმსჯელეთ.

149*

„მუსლიმანი მუსლიმანის ძმაა. მას არ უღალატებს, ჭრილობას არ მიაყენებს, არ დაამცირებს.“ (წმინდა ჰადისი) 150*

„მორწმუნე (მუმინი) ისეთი ვინმეა, რომელიც ადამიანებს შეეწყობა
და ადამიანებიც შეეწყობიან მას. სიკეთე არაა ისეთ ადამიანში, რომელიც არ ამყარებს ახლობლობას და არც მასთან არის შესაძლებელი ახლობლობის დამყარება“ (წმინდა ჰადისი).
151*

მართალსიტყვიანობა და ღიმილი მუსლიმანი ადამიანისათვის თავის გარშემომყოფთა წინაშე ერთ–ერთი პასუხისმგებლობაა. თქვენც მუსლიმანი საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობის ხუთი მაგალითი დაასახელეთ.
*153**

რას გვასწავლის ძვირფასი მუჰამმედ შუამავალი:

ვინც მორწმუნე ძმის საჭიროებებს დააკმაყოფილებს, ალლაჰი მის საჭიროებებს დაუკმაყოფილებს!

ვინც მუსლიმანს გაჭირვებისაგან იხსნის, ალლაჰი მას განკითხვის დღეს განსაცდელს გადაარჩენს.

ვინც მუსლიმანს ჩააცმევს, ალლაჰი მას განკითხვის დღეს ჩააცმევს. *(წმინდა ჰადისი)*
*153**

დახმარების ძალა ყველას შესწევს

სკოლის კედლებზე თავისუფალი ადგილი აღარ იყო. მხარდაჭერისა და დახმარების საზოგადოებრივი ორგანიზაცია გასულ კვირას მეზობელ ქალაქში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად აფიშებით უხმობდა მოსწავლეებს. ბავშვები ტრაგედიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ, ახლობლებდაკარგულ, მშიერ და მწყურვალ ადამიანთა დასახმარებლად ფუსფუსობდნენ. ხშირად ისმოდა მოწოდება: „დახმარების ძალა ყველას შესწევს.“ თუმცა ხუსეინი ფიქრობდა, რომ ეს სიტყვა არ იყო სწორი. მისი აზრით, გაჭირვებულთა დასახმარებლად საჭირო იყო სიმდიდრე. მამის სიკვდილის შემდეგ ხუსეინის მატერიალური მდგომარეობა გაუარესდა და დაზარალებულთა დასახმარებლად მისაცემი ფული არ ჰქონდა. საქველმოქმედო აქციამ სამ დღეს გასტანა. ბოლოს მოგროვებული ნივთების სატვირთო მანქანებზე დატვირთვას შეუდგნენ. ხუსეინი ხელში პაკეტით მოკრძალებით გაემგზავრა სკოლაში. კარებთან თანაკლასელი ოსმანი შემოხვდა. არც ოსმანის მატერიალური მდგომარეობა იყო კარგი. დედამისი დამლაგებლად მუშაობდა. ოსმანი მანქანაზე ნივთების ტვირთვით დაღლილიყო. მან ხუსეინს დანახვისთანავე პაკეტის შესახებ ჰკითხა: რას აგზავნი მიწისძვრის ზონაში? ხუსეინმა უპასუხა: ეს ჩემი ბავშვობისდროინდელი საბანია, როცა დავბადებულვარ, დედას შეუკერინებია. სამწუხაროდ, მის გამოყენებამდე გარდაცვლილა. დედის სახსოვრად ვინახავდი. მიწისძვრის ზონაში, კარვებში დარჩენილ ბავშვებს ვინ იცის, როგორ სცივათ, უკვე დროა, ამ საბანმა გაჭირვებაში მყოფი გაათბოს. სინამდვილეში იქ დიდი დახმარების გაგზავნაა საჭირო ასე უმნიშვნელოსი კი არა. ოსმანმა ამხანაგს უპასუხა. სულაც არ ვფიქრობ, რომ უმნიშვნელოა. დახმარების დიდი და პატარა არ არსებობს. გაცემული ყველაფერი მის ადგილსა და სამაგიეროს ნახავს. მე კი საბანიც არ მაქვს, რომ მივცე, მაგრამ არც მიფიქრია, რომ არ ვეხმარები. ასე რომ მეფიქრა, ნივთების შემკვრელი, სატვირთო მანქანაზე ერთი მტვირთავით ნაკლები იქნებოდა და ამიტომ სატვირთო დაგვიანებით წავიდოდა. მე, მიწისძვრით დაზარალებულებზე დახმარებისთვის ალლაჰს ვევედრები.

154*

როგორ უნდა მოიქცეს აიშე?

წყლის გამაცხელებელი ბაკის გასუფთავებისას ბაკიდან დაღვრილი ცხელი წყალით აიშეს თანაკლასელმა ფატიმამ ხელები და სახე დაიწვა. ფატიმასთვის დასახმარებლად სკოლაში ფულის შეგროვება დაიწყეს. ფატიმას თუ ხელებსა და სახეზე სასწრაფოდ მკურნალობა არ ჩაუტარდებოდა, დამწვრობის კვალი შეიძლება დარჩენოდა. აიშე შვიდი თვე კომპიუტერის საყიდლად ფულს აგროვებდა. აღარ იცოდა, რა ექნა. „იმას ვიღაცა მაინც დაეხმარება."–გაიფიქრა აიშემ. რადგანაც კომპიუტერის ყიდვა მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ჭკუა არეული ჰქონდა.

როგორ მოიქცეოდით, ასეთ მდგომარეობაში თქვენ რომ ყოფილიყავით? დაწერეთ მოთხრობის გაგრძელება

155*

ძვირფასი მუჰამმედ შუამავალი გრძანებს:
„მუსლიმანი მუსლიმანის ძმაა. მას შეუბრალებლად არ მოექცევა, მას საფრთხეში მარტო არ დატოვებს."
(მუსლიმი,ბირრი,58) 156*

ყურანში წმინდა ლოყმანი შვილს ასეთ დარიგებას აძლევს:

ჰეი შვილო! უეჭველად, ისინი (შენი გაკეთებული საქმეები) თუ იქნება მდოგვის მარცვლის ოდენა და (იგი) იქნება კლდეში ან ცათა შინა ანდა დედამიწაში ზედა, გამოიტანს მას ალლაჰი. რამეთუ ალლაჰი მცოდნეა და მცნობიერია (სურა ლოყმანი. აიათი 16)

„სიკეთე ჰქენ ზღვაში გადააგდე, თუ მას თევზი ვერ მიხვდება, გამჩენმა იცის " ამ ანდაზის შესახებ ამხანაგებთან იმსჯელეთ.

157*

წინამდებარე წიგნი ბავშვებისთვისაა მომზადებული, მისი მიზანია ყრმამ შეისწავლოს და შეიცნოს ადამიანის ბუნებაში არსებული მშვენიერებანი. მართალია, წიგნის მოცულობა მცირეა, მაგრამ გვჯერა, რომ თქვენი ცოდნის, გრძნობებისა და აზროვნების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს, რადგან ამ წიგნში თქვენ იპოვით სასარგებლო ცნობებს, რომელთა შესწავლასაც რწმენა მოითხოვს და რომლითაც ღმერთის სახელით მონიჭებულ შვებას და ღმერთთან მიახლოების ძალას იგრძნობთ. სიტყვისა და ქცევის ერთიანობის ყველაზე კარგი მოდელის, ოჯახისა და საზოგადოებრივი ცხოვრების საყრდენის, – ზნეობის პრინციპებს გაეცნობით და თქვენი ცნობისმოყვარეობისთვის დამახასიათებელი სხვა კითხვების პასუხებს ნახავთ. გვჯერა, რომ წაკითხვისას ჩაუფიქრდებით და შეიმეცნებთ, თუ რის გაკეთებას მოითხოვს ჩვენგან ღმერთი და ისე მოიქცევით, როგორც ღმერთს მოეწონება, მის მიერ აკრძალულის გაკეთებას მოერიდებით.

ჩვენი თხოვნაა, სიკეთეების კეთება გაგიხარდეთ, სიგლახეების გამო შეწუხდეთ, ჩვენი გულები ისეთი ფაქიზი უნდა იყოს, რომ ჭიანჭველასაც კი ფეხი არ დავაბიჯოთ. უპირატესობა სიკეთეს უნდა მივანიჭოთ... ესაა ჩვენი პასუხისმგებლობა და თქვენც ღმერთის წინაშე ამ პასუხისმგებლობის ამღებნი უნდა იყოთ.

თქვენი გვჯერა და დიდ იმედებსაც ვამყარებთ თქვენზე.

დიანეთის საქმეთა გამომცებლობა

დიანეთის საქმეთა სამმართველოს საჩუქარია, არ გაიყიდება.